პარასკევი, 1917 წ. 4 მარიამობისთვე (17) წელიწადი მესამე ფასი 10 კაპ.

# საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

№ 170 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი № 170

### რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მას შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 7—8-მდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

### კონტორა

გაზეთის ფასი [illegible] წლის დამლევამდე 10 მან. 3 თვით 5 მან., ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 2 მან. ცალი № 10 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე—20 კაპ. საქართველოს გარეშე შემოსულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 6 მანეთიდან—10 მანეთამდე—ზომით. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 7 საათიდან 8 საათამდე.

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

გერმანელებმა რეიმსს 850 ყუმბარა ესროლეს.

ყოფილ მეფის სახლობა სამხედრო-პოლიტიკურ მოსაზრებით ცარსკოე სელოდან სხვაგან გადაიყვანეს.

პეტროგრადში ქალთა პირველი სამხედრო ყრილობა დაიწყო.

გერმანელებს ფინლიანდიაში ასაფეთქებელი მასალები გადაჰქონდათ.

დროებითმა მთავრობამ გამოაქვეყნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დებულებანი.

### წერილები

**მეთაური.** აგრარულ საქმის აწეწვის გამო.
**გ. ციცქიშვილი.** მიწის საკითხი.
**ია ეკალაძე.** თბილისისკენ და თბილისში.
**დ. ვედრებისელი.** ჩემი დღიური.
**ვინანი.** მასწავლებელთა საყურადღებოთ.

---

დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.

ინგუშები და რუსები.

ბოლშევიკების აჯანყება და ლენინი.

---

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ქუთაისის გუბ. კომიტეტი
ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ კვირას, 30 ივლისს, ნაშუადღევის 1 საათზე, გარდაიცვალა

**გიორგი ფელიქსეს ძე**
**ზდანოვიჩი**

გამოსვენება დანიშნულია ქუთაისში, ოთხშაბათს 9 აგვისტოს, დილის 10 საათზე საკუთარი ბინიდან.

4—793—1

---

გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი: მერაბ გიორგის ძე კილასონია, ნიკოლოზ და ანტონ კილასონიები, ელისაბედ მერაბის ასული ჩოგოვაძისა, ზინა არჩილის ასული კილასონიასი და შალვა იაკობის ძე ჩოგოვაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, 11 ამ თვეს ქალაქ კიევში უდროოთ გადაცვალებას პირველი უსაყვარლესი შვილისას, მეორენი და მესამე ძმისას, მეოთხე მაზლისას და მეხუთე ცოლისძმის, სამხედრო ექიმის

**ანდრო მერაბის ძე**
**კილასონიას**

რომლის უკანასკნელი გამოთხოვება და დაკრძალვა მოხდება ქალაქ ქუთაისში, შაბათს, 5 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. პ. ნაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, გენერლის ქუჩის შესახვევი საკუთარი სახლი.

4—721—3

---

ოთხშაბათს მარიამობისთვის 9 შ., 12 საათზე
ქუთაისის წმ. ნინოს ეკლესიაში, გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებული იუნკრის

**დავით იროდიონის ძის**
**თურქაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს გარდაცვალებულის მშობლები მღვდ. იროდიონ და მარიამი, დები და ძმები თურქაძეები და სიძე კვატაძე.

1—740—1

---

ხუთშაბათს, 3 მარიობისთვეს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეოთხე კლასის მოწაფე 2-რე საქალებო გიმნაზიისა

**ნინა უშვერიძე**

გულდაწყვეტილნი დედა ანნა, მამა მიტროფანე, პატარა ძმა გოგია, დები თამარა და ქეთო და ბებია მელანია უმორჩილესათ გთხოვსთ ნაცნობთ და ნათესავთ დაესწროთ გამოსვენების დღეს, შაბათს 5 მარიობისთვეს, საკუთარ სახლიდან (ბაქოს ქუჩა № 12) დიდუბის ეკლესიაში.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 ნახ. საათზე.

1—741—1

---

### „საქართველო“-ზე ქუთათურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“, რომლის საშუალებით გაზეთი „საქართველო“ ურიგდება ხელის მომწერლებს ბინებზე, ამით აცხადებს, რომ ვინც წლიურ ხვედრ ფულს სრულიად არ შემოიტანს კანტორაში 10 აგვისტომდე, მას რედაქციის განკარგულებით გაზეთის გზავნა მოესპობა და კანტორა დარჩენილ ფულის ასაღებად ზომებს იხმარს.

5—უ—4 კანტორა „იმერეთი“.

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 12, ქართულ სადგილ-მამულო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს განმავლობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად, წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გადასახადის და შეწირულობის შესატანად. ყოველგვარი ცნობების მიღება და წევრად ჩაწერა შეიძლება აგრეთვე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ. ევგენი იაკობის ძე გიგინეიშვილთან.

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-6—7 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტუჩკოვის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან ვ. ყიფიანთან.

751

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. ლეჟაბაძესთან და კლუბის ბუღალტერ კალატოზიშვილთან.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანტონის ძე
**კალანდარიშვილი**
უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს მიიღებს
**მანგლისში**
საკადეტო კორპუსის ბანაკში

ექიმი
**გ. გ. მუხაძე**
იღებს [illegible] ავადმყოფებს
საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კბილისა
**ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა**
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ჩერქეზიშვილის და რუსთაველის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
**მ. დ. წინამძღვრიშვილი**
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა.
მიხეილის პროს. № 36, მეორე სართული.

ექიმი
**მ. ი. მაჩნაძე**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, [illegible] ქ. № 4. (თ.—302—)

ექიმი
**ე. დ. შალამბერიძე**
იღებს საბებიო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი
**მ. ფ. მგალობლიშვილი**
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ოლღის ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი
**ა. დ. კეკელია**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—4)

ექიმი
**მ. გ. ვეფხვაძე**
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებითა ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 19.

### ხელისმომწერთა და აგენტებთა საყურადღებოთ

გაზეთ „საქართველოს“ კონტორა ამით აცხადებს, რომ ხელისმომწერნი, რომელთაც ხვედრი ფული არ შემოუტანიათ და აგრეთვე აგენტებს, რომელთაც წაღებულ გაზეთების ფული არ გადაუხდიათ, 10 მარიობისთვიდან გაზეთების გზავნა მოესპობათ. ამიტომ კონტორა წინდაწინ გთხოვსთ დააჩქაროთ ხვედრი ფულის შემოტანა.

ქუთაისი
**თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან**
**დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა:**
1) **ს. რ. გორგაძე.** [illegible] ქრისტომატია ჩვენი ახალი მწერლობა. . . . . . . 3 მ. 10 შ.
2) **ია. ეკალაძე.** მოთხრობები მოსწავლეთათვის, წიგნი პირველი. — „ 50 „
3) **ტ. მამალაძე.** სამშობლო სურათები, ფრინველებზე უთოფოდ ნადირობა. . . . . . . . . — 5 „
**იბეჭდება და მალე გასასყიდათ გამოვა:**
1) **ვ. ყიფიანი.** დაწყებითი ალგებრა (მესამე და მეოთხე კლასის კურსი).
2) **პროფ. ივ. ჯავახიშვილი.** ქართული სამართლის ისტორია.
3) **ს. რ. გორგაძის რედაქტორობით.** წამება წმიდისა შუშანიკისა.
4) **იპ. ვართაგავა.** შიო მღვიმელი და ბავშვთა სამყარო.
5) **მიხ. ზაალიშვილი.** არა ორგანიული ბუნება (ბუნების მეტყველების პირველი კლასის კურსი).
**მალე დაიწყება ბეჭდვა:**
1) **ალ. ჭიჭინაძე.** პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა (პირვ. კლ. კურსი).
2) **ს. გორგაძე.** ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, მეორე გამოცემა შესწორებით და დამატებით მეხუთე საუკუნის მწერლობიდან.
3) **ი. გომელაური.** მოწაფის ჰიგიენა. მესამე გამოცემა.
4) **ტ. მამალაძე.** სამშობლო სურათები. დათვსა და არჩვზე ნადირობა ქვაბის ფსკერაში.
5) **მისივე.** გარეულ ცხოველებზე ნადირობა. (10—718—5)

თბილისი,
მარიამობისთვის 4.

## აგრარულ საქმის აწეწვის გამო

ბევრმა ერთი მეორის წინააღმდეგმა პროექტებმა და კიდევ უფრო მეტმა წერამ და სიტყვიერმა პროპაგანდამ აუარებელ პარტიებისამ მიწის საკითხის გამო, შესახებ და თაობაზე, ზოგ ალაგას ამიერ კავკასიისა უკუღმა გამოიღო ნაყოფი.

გლეხები იმ ზოგიერთს ადგილებში უკვე შესდგომიან თვითნებობით მიწის საკითხის გადაჭრას, ახლავე მოჰყავთ სისრულეში ამიერ-კავკასიის გლეხთა ყრილობის დადგენილებანი იჯარისა და მემამულეთა და სხვა მესაკუთრეების მიწების დამუშავების შესახებ, ზოგან უკვე ძალით წაურთმევიათ და გაუყვიათ კიდეც მიწები, სხვაგან ჩეხენ ტყეებს და თვითნებობით ინაწილებენ სარწყავ წყლებს.

ზოგან ამის მიზეზი ყოფილან ალაგობრივ კანონს გარეშე დაარსებულნი კომიტეტები.

ყოველსავე ამას ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მიაქცია ყურადღება და მიმართა, როგორც თავის მოხელეებს—გუბერნიების, ოლქების და მაზრების კომისარებს, ისე ხალხსაც, შესაფერი ბრძანებითა პირველთ, ხოლო რჩევითა და დარიგებით მეორეებს.

კომიტეტის სამართლიანი აზრით მიწის საკითხის საბოლოოთ გადაჭრას წინ უნდა უძღოდეს საქმიო ცნობების შეკრება მიწებისა და ზედ მცხოვრებთა რაოდენობაზედ და აგრეთვე შესაფერი კანონ-პროექტის შედგენა.

ადგილობრივ საჭირო ცნობების შესაკრებად ამიერ კავკასიაში დაარსებულია საოლქო სამიწაწყლო კომიტეტი, და მალე მოაწყობენ, 1917 წ. 21 მკათათვის კანონის თანახმათ, საგუბერნიო, სამაზრო და საუბნო კომიტეტებს, რომელნიც ვალდებულნი იქნებიან საჭირო ცნობების შეკრების გარდა მოაწყონ ადგილობრივ მომრიგებელი კამერები. ეს კამერები, დამფუძნებელ კრებისაგან მიწის კანონის დამტკიცებამდე განიხილავენ და ყოველგვარ დავას, რაც კი მიწას და წყალს შეეხება. მხოლოთ ამ ნაირათ შეიძლება მიწის საქმის საბოლოოთ გადაწყვეტას სამართლიანი ნიადაგი მოემზადოს. თვითოეულ გუბერნიამ, მაზრამ თუ სოფელმა არ უნდა იკისროს ამ რთული საქმის თვითნებობით, მისდა უნებურათ, გადაწყვეტა და სისრულეშიაც მოიყვანოს კიდეც თავისი გადაწყვეტილება.

დიდი უბედურება ელის ქვეყანასო, ასე აბოლოვებს კომისარიატი თავის რჩევას ერისადმი,—თუ არ დაეუცდით დამფუძნებელ კრების გადაწყვეტილებასაო.

ყოველივე ამის შემდეგ და დღესდღეობით, ჩვენ გულწრფელათ ვურჩევთ ქართველ გლეხებს—ნუ აჰყვებიან სხვების ფეხის ხმას და ცარიელ სიტყვებს. თავიანთ თავს თვითონ მოუარონ სამართლიანობისა და საქმის ნამდვილ გარემოების შესაფერისათ.

შეიგნონ ახლა მაინც, როცა დრო მომწიფებულია, თავიანთი ეროვნული ვინაობა და სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა, ხმამაღლა და გაბედულათ მოითხოვონ სამშობლოს კანონმდებლობითი თვითმმართველობა, და ის თვითმმართველობა მისცემს მას უფლებას თავისი სამშობლოს მიწის ბატონ-პატრონი თვითონ იყოს, და როგორც ენებება იმ წესით იმფლობელოს, მოუაროს და დაიმუშაოს იგი.

ნურავინ ნუ დაივიწყებს, რომ რაც ამ შემთხვევაში სხვას მოუხდება და შერჩება, ის ჩვენ გვავნებს და წაგვწარდება.

## მიწის საკითხი

რუსეთის თანამედროვე ცხოვრების ცვალებადობაში მიწის საკითხი მაინც ყოველთვის ერთ უმთავრეს საკითხთაგანად დარჩება მანამდე, სანამ დღევანდელ დრომოჭმულ მიწის მფლობელობის საქმე არ მოწესრიგდება.

მაგრამ რა არის ეს „მოწესრიგება“ მიწის საკითხისა?

აი ის თავსამტვრევი ამოცანა, რომლის ახსნა-გამოცნობას შეუდგება ხოლმე ესა თუ ის ჯგუფი, სხვა და სხვა პარტიულის პრიზმით შეიარაღებული.

წამოაყენეს მიწის ნაციონალიზაცია, სოციალიზაცია, მუნიციპალიზაცია, კერძო საკუთრება; დაიწყო გაუთავებელი დავა იმის შესახებ, თუ რანაირი მიწისმფლობელობა შეჰშვენის საქართველოს, და ბოლოს და ბოლოს კაბინეტურ კამათში თითქმის ყველამ დაივიწყა ის, ვისაც უფრო ეხება ეს მიწის საკითხი,—დაივიწყა გლეხი, „მიწის მუშა“.

თუ დღეს-დღეობით ქართველ გლეხის ბედი მიწასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული, აქედან ცხადია, რომ მიწის საკითხის მალე და სამართლიანად გადაჭრა ისე არავის აინტერესებს, როგორც თვითონ გლეხს.

ამიტომ, თუ ჩვენა გვსურს—გავიგოთ, რა არის სამართლიანი განაწილება და მფლობელობა მიწისა, ამას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის უნდა მივმართოთ მას, ვისით ამ ჟამად იწყება და თავდება მიწის დამუშავება, უნდა მივმართოთ გლეხს და ვკითხოთ, რა ჰსურს მას და რას თხოულობს იგი მიწის შესახებ.

მართლაც, რასა ვხედავთ დღეს ჩვენ სოფელში?

ერთის თქმა შეგვიძლია გადაჭრით: **დღეს ქართველ გლეხს მიწაზე კერძო საკუთრება ჰსურს.** გლეხების დიდ უმრავლესობის მიზანია—მიწაზე კერძო საკუთრების დამყარება. ეს უცილობელი ფაქტია და მის უარყოფა არავის შეუძლია. შემოიარეთ საქართველოს სოფლები და დარწმუნდებით ამაში; თქვენ გაიგებთ, რომ სხვაფრივ მოწყობა მიწის საკითხისა გლეხებს მიაჩნიათ ჩვენის განვითარების შეუსაბამოთ და უსამართლოთ; ისინი თქვენ გეტყვიან, რომ საზოგადოებრივობის შეგნებამდე არა თუ ისინი, ჩვენც, „განათლებული“ ხალხიც, ძალიან შორსა ვართ. განვითარებულ მიწისმფლობელობის შემოღება ხომ ამ საზოგადოებრივობის განვითარების შემდეგი უნდა იყოს.

დიახ, ჩვენის კულტურულ და ეკონომიურ მდგომარეობის შედეგია ეს მოვლენა, მაგრამ მეტის მოთხოვნა დღეს არც გლეხს შეუძლია და არც ჩვენ. მეტის მოთხოვნა იქნებოდა თვით ცხოვრების კანონის დარღვევა იმ კანონისა, რომელიც ამბობს, რომ ცხოვრებაში ერთბაშად და უმიზეზოდ არავითარი დიდი ცვლილება არ ჰხდება.

მართლაც, კარგად ჩაუკვირდით ჩვენ ამ ვითომდა უბრალო გარემოებას. რუსეთი ყოველთვის უკულტურობის მაგალითი იყო ხოლმე, და ნუ თუ იგივე რუსეთი, და კერძოთ საქართველო, ახლა კულტურობის მაგალითად უნდა მოევლინოს მთელს კაცობრიობას თავის განვითარებულ მიწისმფლობელობის ფორმებით?

დიადია, რასაკვირველია, რუსეთის რევოლუცია, დიადი იქნება მისი შედეგებიც, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ასეთი რევოლუცია სხვაგანაც, უფრო კულტურიან ქვეყნებშიც ყოფილა, ხოლო უკიდურესობის მიმხრეთათვის სასურველი ნაყოფი იქაც კი არ გამოუღია. ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ისტორიის გაკვეთილები არ უნდა დავივიწყოთო და ივიწყებენ კი. ჩვენ მეტსაც ვიტყვით,—არა თუ ისტორიული მაგალითები, სხვა და სხვა ერების თანამედროვე ცხოვრებაც უნდა გვქონდეს ყოველთვის თვალწინ წარმოდგენილი. გვეტყვიან—გაცვეთილი აზრები და დასაბუთება არისო. დიახ, დაარქვენ, რაც უნდათ, ოღონდ ჩვენ ვუპასუხებთ, რომ უფრო ყურადსაღები და ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეა ვითომდა გაცვეთილ, მაგრამ მართლა კი საღ აზრების ცხოვრებაში გატარება, ვიდრე უტოპიურის აზრებით თავის კვება და მოტყუება და ამით „რევოლუციონერობის“ და ხალხის მეგობრობის მტკიცება. დღეს, როდესაც სოციალიზმი მოდად გადაქცეულა, ჩვენ უფრო გვეინტერესებს საქმე, ვიდრე ლამაზი სიტყვა.

თუ მართლაც რევოლუციონერმა დემოკრატიამ,—როგორც ახლა უყვართ ლაპარაკი,—შეიგნო თავისი მოვალეობა, თუ მან შეიგნო, რა უნდა მას და რა არ უნდა,—მაშინ ჰკითხეთ ამ დემოკრატიას, ამ დემოკრატიის ნაწილს—გლეხობას, რომელსაც ყველაზე უფრო ეხება მიწის საკითხი, დაუსვით მას პირდაპირ ეს კითხვა და გლეხი თავის უბრალო, მაგრამ გონიერ სიტყვებით გეტყვით: შემოიღეთ, რაც გინდათ—სოციალიზაცია, მუნიციპალიზაცია თუ სხვა რამე—ოღონდ მე კერძო საკუთრება მომეციო.

კიდევ ერთი რამ უნდა გავიხსენოთ. ქართველმა გლეხობამ მიიღო მიწის მუნიციპალიზაცია, უარჰყო სოციალიზაცია. რას მოასწავებს ეს გარემოება? ნუ თუ ქართველმა გლეხმა გონებით გასჭვრიტა, რომ მუნიციპალიზაცია საუკეთესო ფორმაა მიწის სარგებლობისა? სრულიადაც არა. ამის მიზეზები სხვაგან უნდა ვეძიოთ. უნიადაგობა მიწის განსაზოგადოებისა ნათლად დაინახა ქართველმა გლეხობამ, ხოლო მუნიციპალიზაციას ამ ჟამად მეტად მიეხრო, რომ მასში დაინახა ნასახი მაინც კერძო საკუთრებისა. შემდეგ—გლეხის ბრალი არ არის, რომ მას არ გაუთვალისწინებია მიზნები და შედეგები ამ მუნიციპალიზაციისა—ეს მის მასწავლებლების ბრალია; თორემ ყველაფერი ეს რომ შეეგნებინათ, მიწის მუნიციპალიზაციასაც აიღებდა გლეხი ხელს და სრულ კერძო საკუთრებას მოითხოვდა. და თუ გლეხები გაჰყვნენ სოციალ-დემოკრატებს, ეს, გარდა ზემოთქმულისა, აიხსნება იმითაც, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქვს ტრადიციები და სახელი „მუშათა პარტიისა.

აღსანიშნავია აგრეთვე მიწის სოციალიზაციის მომხრეთა ტაქტიკა. როდესაც ისინი სოფლად ან ქალაქად ჰქადაგობენ, მათ კამათის დროს სიმძიმის ცენტრი პროლეტარიზაციის მავნებლობაზე გადააქვთ და ავიწყდებათ, რომ არსებობს კიდევ ერთი ფორმა მიწისმფლობელობისა—კერძო საკუთრება, რომლის შესახებ და წინააღმდეგ ფედერალისტები ძალიან იშვიათად ლაპარაკობენ. იქნება კერძო საკუთრებაზე ყველამ ხელი აიღო და მისი მავნებლობა ყველამ შეიგნო? ან და იქნება გვიპასუხონ—იმიტომ არა ვლაპარაკობთ კერძო საკუთრებაზე, რომ არც ვიცავთ მასაო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ეს საკითხი რომ ასე უბრალოთ არ სწყდება, ეს ხომ ყველამ უნდა იცოდეს. რადა გგონიათ, რომ მიწის მუნიციპალიზაცია თუ დამარცხდება, უეჭველად სოციალიზაცია გაიმარჯვებს? თქვენის ლექციების შემდეგ მიწის სოციალიზაციაზე ჰკითხეთ გლეხებს: გსურთ თუ არა კერძო საკუთრებაო, და ნახოთ, რას იტყვიან!

უეჭველია, ბურჟუაზიის მსახურებას დამწამებენ—როგორ თუ კერძო საკუთრებას იცავო, მით უმეტეს, თუ ვიტყვი, რომ ყოფილი ფედერალისტი და სოციალისტი ვარ. სთქვით, რაც გინდათ,—ჩვენ გვირჩევნია სინამდვილისთვის სამსახური, ვიდრე კაბინეტში ჯდომა და გონებით შექმნილ ოცნებათა ავ-კარგიანობის დაფასება. ვიმეორებთ—ჩვენ საქმე გვაინტერესებს და არა სიტყვა, რა გინდ მოქარგული არ უნდა იყოს იგი.

და დღეს, როდესაც უკიდურეს ლოზუნგების წამოსროლა ავადმყოფობათ გაუჩნდათ ჩვენს სოციალისტურს პარტიებს, როდესაც ზომიერ, მაგრამ დროისა და გარემოების მიხედვით გონიერ ნაბიჯების გადადგმა სისუსტეთ არის მიჩნეული, როცა უფრო ქებიან რევოლუციონერობის დოღია გამართული,—დღეს ჩვენ გული გვტკივა რომ ვერ გაურჩევიათ ოცნება და სინამდვილე, ავი და კარგი, რომ ვერ ჰხედავენ მას, რაც ასე ცხადად არის გამორკვეული. „მამალმა სთქვა—მე კი ვიყივლებ, და თუნდ გათენდეს, თუნდ არაო“. ნაადრევის ყვირილით რომ სოციალიზმი არ განხორციელდება, ეს ყველამ უნდა იცოდეს, მით უმეტეს უნდა იცოდნენ ყველა ჯურის სოციალისტებმა. თორემ უკიდურეს ლოზუნგების, მიზნების იდეალად დასახვა და ახლავე მათის განხორციელებისათვის მოწოდება საქმიანობას ან და ხალხზე ზრუნვას კიდევ არ ნიშნავს. საქმე ის არის, თუ რანაირად შეეფერება ესა თუ ის ლოზუნგი ჩვენს სინამდვილეს, ჩვენს ცხოვრებას.

ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილია კულტურულად, პოლიტიკური სხეული მისი მიძინებულია, ეკონომიკა ძალიან სუსტად არის განვითარებული. მიუხედავად ამისა ჰსურთ განახორციელონ ისეთი ზომები, რომელნიც უეჭველად ჰგულისხმობენ ამ სამ ფაქტორის საკმაოდ განვითარებას.

კერძოთ მიწის საკითხი ჩვენს სოციალისტურ პარტიებს ჰსურთ მოაწესრიგონ პირობების დაუხედავად, მათ გარეშე.

ისტორიამ ნახტომები არ იცის, არსებობენ ცხოვრების კანონები, რომელთა უარყოფა შეუძლებელია. გამოვდივართ რა ამ დებულებიდან, ჩვენ უნდა აღვიაროთ, რომ საქართველო თავისის კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობით არა სდგას იმ საფეხურზე, რომ ჩვენში ნიადაგი ჰქონდეს მოპოვებული რაიმე განვითარებულ ფორმას მიწისმფლობელობისას.

ყოველივე ძირითადი ცვლილება მიწის საკითხში, რომელიც სათანადო პირობებით არ იქნება გამოწვეული, არაფერს, არევ-დარევის მეტს, არ შეიტანს ხალხის ცხოვრებაში.

გამოუსადეგარია მუნიციპალიზაცია მიწისა, მის საბოლოო მიზნით—პროლეტარიზაციით.

უტოპიაა ამ ჟამად სოციალიზაცია მიწისა, ფედერალისტების მიერ წამოყენებული. ესაა ნამდვილი ვითარება საქმისა, თუ ჩვენ არ დავხუჭავთ თვალებს სინამდვილეზე და პირდაპირ შევხედავთ მას.

მანამდე კი, სანამ განვითარების საფეხურები ძალიან ცოტა გვაქვს განვლილი, სანამ ჩვენი ქვეყანა ყოველმხრივად საკმაოდ არ აღორძინებულა, მანამდე დიდი კულტურული მუშაობა გვეპირდება, და „უმარცხენეს“ ლოზუნგების ცხოვრებაში გატარების ცდა კი დამღუპველი იქნება ჩვენის ქვეყნისთვის.

უფრო ადვილია მოპოება ძალა-უფლებისა, ვიდრე მისი შენარჩუნება და კარგად მოხმარება.

გვახსოვდეს ეს და ფხიზლად შევხედოთ სინამდვილეს, რომ ჩვენის ტანჯულის სამშობლოს მრავალ საუკუნოვანი ტრაგედია კიდევ რაიმე საშინელ კატასტროფით არ აღინიშნოს.

**გობრონ ციცქიშვილი.**

# საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დებულებანი

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 1. დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) დამტკიცდეს დროებითი წესები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის შესახებ რუსეთის იმპერიაში. 2) მიენდოს საგანგებო კომისიას, რომლის შემადგენლობა მტკიცდება მთავრობისაგან, იმის გარჩევა, თუ რომელი საეკლესიო დაწესებულებანი უნდა იქმნენ გამოყოფილნი საქართველოს საეგზარხოსოდან გადასაცემად საქართველოს საკათოლიკოსოს გამგებლობაში და აგრეთვე შედგენა წესებისა და იმ ჯამის რაოდენობისა, რომელიც უნდა მიეცეს სახელმწიფო ხაზინიდან შესანახად საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და რომ კომისიის დადგენილებანი წარმოდგენილ იქმნენ დროებით მთავრობაში დასამტკიცებლად, 3) ვიდრე საბოლოოდ მოწესრიგდებოდეს საქართველოს ეკლესია ამ დადგენილების თანახმად და ვიდრე დაწესებული იქნება სარწმუნოებათა სამინისტრო, უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორს ჰქონდეს იგივე უფლებანი საქართველოს ეკლესიასთან დამოკიდებულებაში, რაც ჰქონდა მას საქართველოს საეგზარხოსოსთან დამოკიდებულებაში.

**დროებითი წესები.** 1) საქართველოს ეკლესიის შემადგენლობაში შედიან ყველა მართლმადიდებელნი ქართველთა ტომისა, რომელნიც კი ცხოვრობენ რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში. 2) აფხაზთა სამრევლოები ამიერკავკასიისა...(?) შეიძლება ჩაირიცხულ იქმნენ ამათი სურვილისამებრ საქართველოს ეკლესიაში. 3) მღვდელ-მსახურებს საქართველოს ეკლესიისას შეუძლიათ შეასრულონ სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი მართლმადიდებელთა, რომლებიც ეკუთვნიან ქართველთ ეროვნებას და ასევე მართლმადიდებელ მღვდლებს შეუძლიათ შეასრულონ მოთხოვნილებანი ქართველთა. 4) საქართველოს ეკლესია იყოფა ეპარქიებად, ხოლო უკანასკნელნი სამრევლოებად; ორთავეს რიცხვი განისაზღვრება საგანგებო სიით და დამტკიცდება მთავრობისგან, 5) საქართველოს ეკლესიას თავში უდგას არქიეპისკოპოსი მცხეთისა და კათალიკოზ პატრიარქი სრულიად ქართველთა, არჩეული თანახმად საქართველოს ეკლესიის წესებისა. 6) არჩევა კათალიკოს-პატრიარქისა, ვიდრე აღყვანილ იქნება თავის ხარისხში, უნდა დამტკიცებულ იქმნას სახელმწიფოს უმაღლეს მთავრობისაგან. 7) კათალიკოს-პატრიარქს ერთად საქართველოს ეკლესიასთან, რომლის მოთავე არის კათალიკოსი, ეკუთვნის სრული საეკლესიო ხელისუფლება, რომელსაც განახორციელებს იგი საეკლესიო მმართველობის ორგანოთა შემწეობით და კანონებთან შეფარდებით. 8) კათალიკოს პატრიარქი აწარმოებს მიწერ-მოწერას ყველა ავტოკეფალურ ეკლესიებთან, რომლებიც არსებობენ რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ, უცხო საქმეთა სამინისტროს შემავლობით. 9) საეკლესიო დაწესებულებანი საქართველოს საკათალიკოსოსი, უმაღლესი იერარქია და საკათედრო სამღვდელოება თუ სამრევლო და სამინისტრო მიიღებენ ჯამაგირს სახელმწიფო ხაზინიდან იმ წესით და რაოდენობით, რაც დადგენილი იქნება კანონით. 10) საქართველოს ეკლესიის დაწესებულებათ, თანახმად საზოგადო სამოქალაქო კანონებისა, ენიჭებათ უფლებანი იურიდიულ პიროვნებათა. 11) საქართველოს ეკლესიის სასულიერო სასწავლებლებს შეიძლება მიეცეთ უფლებანი მთავრობის სასწავლებლებისა. 12) საქართველოს საკათალიკოსოს დაწესებულებებში შინაგანი საკანცელარიო საქმის წარმოება და სწავლა სასულიერო სკოლებში სრულდება ქართულს ენაზედ. 13) ცოლ-ქრობისა და სამოქალაქო მდგომარეობის აქტების წარმოებაში საქართველოს ეკლესია ხელმძღვანელობს საზოგადო კანონებით.

# ომი და ზავი

## დეპეშები

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 1. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** სროლაა.

**რუმინეთის ფრონტი.** მთელი დღე, 31 მკათათვეს, სასტიკი ბრძოლები იყო ოკნა-გროზეშტის მიდამოებში. 30 მკათათვეს რუმინეთის ჯარებისგან დაწყებული კონტრ-იერიში გაგრძელდა 31-საც და საღამოს დაიკავეს სოფელი სლონიკი და დაძრეს მტერი მაღლობებიდან 6 ვერსზე სოფელ გროზეშტიდან სამხრეთ-დასავლეთით. შეტევა ფართოვდება. ფოქშანის მიმართულებით მტერმა, ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ, რამდენჯერმე შემოგვიტია, მაგრამ მოგერებულ იქმნა ჩვენი და რუმინეთის ჯარების მიერ. მტერი შეეცადა თავს დასხმოდა ჩვენს პოზიციებს მაქსიმენის მიდამოებში, მაგრამ მოგერებულ იქმნა ჩვენი ცეცხლით.

**კავკასიის ფრონტი.** ჩვენი მზვერავები, რიცხვით 40 კაცი, გაბედულად დაეცნენ ოსმალებს საბეჯის ტირიბოლის მიდამოებში და ტყვეები წამოიყვანეს. დანარჩენ ფრონტი უცვლელადაა.

**მფრინავთა მოქმედება.** გერმანელის მფრინავებმა ჩამოჰყარეს ყუმბარები სადგურ მოლოდეჩნოზე და სინიავკაზე.

**შავი ზღვა.** ჩვენმა გემებმა მოსპეს სინოპის ახლოს ოსმალების ორი დიდი ბარჯა ბენზინით დატვირთული და 22 დატვირთული ფელუგა.

**რუმინეთის ფრონტზე.**

**ოდესა.** მკათათვის 27 (დაგვიანებულია) სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან: მკათათვის 25 მტერმა რუმინეთის ფრონტზე „1029“ სიმაღლე დაიჭირა და ლეპშა ლეპშელადალეს შესართავებთან ორჯელ სცადა შემოტევა. ორთავე იერიშები მოვიგერიეთ. მერეში-ფოქშანის გზატკეცილის ორსავ მხარეს მტერმა იერიშები გაახშირა. დილის 6 საათზე მტერმა ორი წყება თხრილები ჩაიგდო ხელში. მტრის შორს მსროლელ არტილერიამ ტუდორ-ვლადიმირსკისკენ 40 ყუმბარა გამოისროლა.

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 2. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** ვილნისა და ტარნოპოლის მიმართულებით გაცხარებული სროლაა.

**რუმინეთის ფრონტი.** ოკნას რაიონში ბრძოლა შესუსტდა. მტერმა რამდენიმე იერიშის შემდეგ ოკნას დასავლეთით 7 ვერსის მანძილზე მდებარე სიმაღლე დაიჭირა. მდ. კასინის რაიონში მტრის იერიშები რუმინელთა ჯარმა მოიგერია. ფოქშანის მიმართულებით ჯერ ამ დღეში მტერს იერიშები არ უწარმოებია. კრონშტენის რაიონში ის იყო მტერს ჩვენი თხრილები უნდა დაეჭირა, რომ კონტრ-იერიშით განვდევნეთ.

**კავკასიის ფრონტი.** სროლაა.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** მარიამობისთვის 1. (დაგვიანებულია) ოფიციალი. გუშინდელით არრას-კამბრეს გზის სამხრეთით და ნიუპორის უბანში გერმანელების არტილერიამ კვლავ მოქმედება განაძლიერა.

**მფრინავთა მოქმედება.** გუშინ ჩვენი ჰაეროსტატები და ჰაეროპლანები მეტად მარჯვედ მოქმედობდნენ. ჩვენმა მფრინავებმა რამდენიმე ფოტოგრაფიული სურათი გადიღეს და გერმანელების 4 ჰაეროდრომს სროლა აუტეხეს. გერმანელები კვლავ დიდ სისასტიკეს იჩენდნენ. ჩამოვაგდეთ მტრის 9 ჰაეროპლანი, დავაზიანეთ 8. ჩვენ გვაკლია 7 ჰაეროპლანი.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** მკათათვის 31 (დაგვიანებულია) ოფიციალი. დღეს სერნისა და კრაონის შუა დიდი სროლა იყო. გერმანელები დილის სამხრეთით დაჭერილ თხრილებიდან ჩვენ ამორეკვას შეეცადნენ, მაგრამ ამაოდ. ჩვენ ცოლოსალეთისკენ საგრძნობლად წავიწიეთ. დღეს რეიმსს 850 ყუმბარა ესროლეს. მოკლულია 4 მოქალაქე, დაჭრილია 2. შამპანში—კორნილეს მთის რაიონში, მაასის ორსავ მხარეს და პარრუას ტყეში საარტილერიო მოქმედებაა.

**ახლო აღმოსავლეთი.** მკათათვის 30. სტრუმის ველზე პატრულების შეტაკებაა. მთელ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა.

**გერმანელების ასაფეთქებელი მასალები.**

**სტოკჰოლმი.** მარიამობისთვის 1. გაზეთი „სოციალ-დემოკრატ“-ი, გადმოგვცემს, რომ, ნორბოტის მცხოვრებთა ცნობებით, გერმანელებს ფინლიანდიის საზღვარზე ასაფეთქებელი მასალები გადაჰქონდათ. თუ ხმებს დაუჯერებთ, ორგანიზაციის ცენტრი ნორბოტენში იმყოფებოდა. არხანგელსკში მომხდარ აფეთქებას ამ ორგანიზაციას აწერენ.

# სტოკჰოლმის კონფერენციის გარშემო

**ინგლისი და სტოკჰოლმის კონფერენცია.**

**ლონდონი.** მკათათვის 31. თემთა პალატაში ბონარ-ლოუმ განაცხადა, რომ შეერთებულ სახელმწიფოში მცხოვრებთ ნება არა აქვთ მთავრობის დაუკითხავად სტოკჰოლმის კონფერენციაზე მონაწილეობის სურვილი განაცხადონ. მთავრობამ გადასწყვიტა კონფერენციაზე წამსვლელთ ნებართვა მისცეს. ასეთსავე ნებართვას მისცემენ სტოკჰოლმის კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად წამოსულებს შეერთებული შტატები, საფრანგეთი და იტალიეთი ამ საკითხის გამო ბრიტანეთის მთავრობას უკვე ჰქონდა მათთან მოლაპარაკება.

**იუზის აზრი კონფერენციაში ინგლისელთა მონაწილეობაზე**

**ლონდონი.** მკათათვის 31. ახალშენთა სამინისტრომ ავსტრალიის პრემიერ მინისტრს იუზისაგან სტოკჰოლმის კონფერენციის შესახებ დეპეშა მიიღო. მას სტოკჰოლმის კონფერენციაში ინგლისელების მონაწილეობა სასურველად არ მიაჩნია, იმ მოსაზრებით რომ მოკავშირეებს ომის გაგრძელება და ზავის პირობების შეკვრა გაუძნელონ.

**ინგლისელების პრესა დელეგატების შესახებ**

**სტოკჰოლმი.** მკათათვის 31. ინგლისის მუშათა პარტიამ უკვე გადასწყვიტა სტოკჰოლმის კონფერენციაზე მონაწილეობის მიღება. ამის გამო „ფორვერტს“-ი სწერს: ინგლისელი დელეგატები მხოლოდ მაშინ დარწმუნდებიან თავიანთ თვალსაზრისის უსაფუძვლობა-გულუბრყვილობაში და მათი მისიაც მხოლოდ მაშინ შეიცვლება, როდესაც ჩავლენ სტოკჰოლმში და გერმანელ დელეგატებთან ისაუბრებენო.

**ფრანგები და სტოკჰოლმის კონფერენცია**

**პარიზი.** მკათათვის 31. ტომამ სტოკჰოლმის კონფერენციაზე ლაპარაკის დროს განუცხადა ამომრჩევლებს, რომ სოციალისტების მიზანი სტოკჰოლმის სამშვიდობო განცხადება, ან და სხვა და სხვა ქვეყნის სოციალისტების შორის კომპრომისები კი არ უნდა იყოს, არამედ იმის დამტკიცება—თუ ვის ჰხვდება ამ ომის პასუხისმგებლობა. ეს კი საფრანგეთისა და მოკავშირეთათვის სიმართლისა და უფლების აღდგენას ნიშნავსო.

**საფრანგეთის სოციალისტები**

**პარიზი.** მკათათვის 31. სენის დეპარტამენტის სოციალისტების ფედერაციამ დაადგინა: მოითხოვოს ერთიანი სოციალისტურ კონგრესის მოწვევა იმ შემთხვევაში თუ სტოკჰოლმის კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგატებს მთავრობა პასპორტებს არ მისცემს.

# რევოლუცია

## დეპეშები

**ქალთა პირველი სამხედრო ყრილობა**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 2. დაიწყო ქალთა სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირველი სამხედრო ყრილობა. ყრილობაში მონაწილეობს ბრეშკო-ბრეშკოვსკაია. მოხდა ქალთა ბატალიონის ალლუმი. ყრილობა უკვე საქმეებს შეუდგა.

**დამფუძნებელ კრების გარშემო**

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 1. დეპუტატთა საბჭოების ცენტრალ კომიტეტის ბიუროსა და დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის დაარსებულ სათავდარიგო საბჭოს წევრთა შემარცხენე ჯგუფს შეუძლებლად მიაჩნია დამფუძნებელ კრების დანიშნულ დროზე მოწვევის დაბეჯითებით თხოვნა.

**ლუგანსკი.** მარ.-თვის 1. საქალაქო ბაღში დეზერტირების ძებნის დროს, მოჰკლეს შტაბს-კაპიტანი ვიტმანსკი. მოქალაქეთაგან დაჭრილია 9. დააპატიმრეს 300 კაცი.

**ბინების ახალი კანონ-პროექტი**

**პეტროგრადი.** მარ.-თვის 1. იუსტიციის მინისტრმა დროებით მთავრობას ბინების შესახებ ახალი კანონ-პროექტი წარუდგინა.

**სასამართლოს დადგენილების გარეშე დატუსაღება**

**პეტროგრადი.** მარიამ.-თვის 1. იუსტიციის მინისტრმა სასამართლოს დადგენილებათა გარეშე დატუსაღების კანონი—შესაცვლელად აღიარა, რადგან იგი ცხოვრების მოთხოვნილებას არ შეესაბამება.

**პეტროგრადის კომენდანტი**

**პეტროგრადი.** მარ.-თვის 1. პეტროგრადის მთავარ კომენდანტად ეგერის პოლკის უფროსი პოლკოვნიკი კოშევოი დაინიშნა.

**კიევის სამხედრო ჯარის უფროსის პეტროგრადს გაწვევა**

**პეტროგრადი.** მარ.-თვის 1. გუშინ სამხედრო მინისტრის დაბარებით პეტროგრადს ჩამოვა და კიევის სამხედრო ოლქის ჯარის უფროსი პოლკოვნიკი ობერუჩევი.

**ბოგდან ხმელნიცკის სახელობის ეშელონები ფრონტზე.**

**კიევი.** მარიამობისთვის 1. დღეს ბოგდან ხმელნიცკის სახელობის უკანასკნელი ეშელონი გაიგზავნა ფრონტზე.

## ყოფილ მეფის და მის სახლობის ცარსკოე სელოდან გადაყვანა

**პეტროგრადი.** ყოფილ მეფისა და მის სახლობის ცარსკოე სელოდან გადაყვანის გამო მინისტრ-თავმჯდომარის მოადგილე ნეკრასოვი იუწყება: დროებით მთავრობის განკარგულებით მკათათვის 31 ღამით ყოფილი მეფე და მისი ოჯახი ცარსკოე სელოდან სხვა ადგილს იქმნა გადაყვანილი. დროებითი მთავრობა შემდეგ გამოაცხადებს თუ სად გადიყვანეს ყოფილი მეფე. აქამდის გამოცხადებული ცნობები სიმართლესაა მოკლებული. დროებით მთავრობის არც ერთი წევრი არ გაჰყოლია მატარებელს. ყოფილ მეფისა და მის ოჯახის გადაყვანის საკითხი სამხედრო-პოლიტიკურ მოსაზრებით ჯერ ისევ ივნისთვეში აღიძრა. ეს საკითხი მაშინ მთავრობის სხდომამ ფარულად განიხილა და დაადასტურა მისი განხორციელება. არც პეტროგრადის და არც ცარსკოე სელოს დეპუტატთა საბჭოებს ამ საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა არ მიუღიათ. მთავრობას ყოველივე ზომა ჰქონდა მიღებული, რომ ყოფილ მეფის გადაყვანა ისე მომხდარიყო, რომ ეს მხოლოდ რამოდენიმე პირს სცოდნოდა.

## დროებითი მთავრობა და სტოკჰოლმის კონფერენცია

უცხოელების პრესა ამ დროებით მთავრობის სტოკჰოლმის კონფერენციასთან დამოკიდებულებას ყურადღება მიაქცია. ამის გამო მცოდნე წყაროებიდან იუწყებიან: დროებით მთავრობას ომისა და ზავის საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ თავის და მოკავშირე სახელმწიფოთა საქმეთ მიაჩნია. სოციალისტური კონფერენცია, როგორც ეს არა ერთხელ გამოსთქვა რუსეთის მთავრობამ, განსაკუთრებითი პოლიტიკურ პარტიების კონფერენციაა და, როგორც ასეთს, არ შეუძლიან მოითხოვოს, რომ მისი დადგენილება აუცილებლივ სავალდებულო იყოს დროებით მთავრობისათვის. დროებითი მთავრობა მუდამ იმ აზრისა იყო, რაც მოკავშირეებმაც იცოდნენ, რომ იგი არასოდეს არ ისურვებდა, რომ სოციალისტურ ორგანიზაციებს კონფერენციაში მონაწილეობა არ მიეღოთ. მაგრამ, იმისდა მიუხედავად, რომ ომის მიერ წამოყენებულ ძირითად საკითხების სოციალისტურ კონფერენციის მიერ გამორკვევას საზოგადო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს—დროებითი მთავრობა მათ დადგენილება-გარდაწყვეტილებას, რა თქმა უნდა ისეთ ფასს არ დასდებს, როგორც მოკავშირე სახელმწიფოთა დადგენილებებს.

## სამხედრო ორგანიზაციების ბედი.

**პეტროგრადი,** მარიამობისთვის 1. **ბრძანება სამხედრო უწყებას.** ფრონტის ამ უკანასკნელ ამბების გამო სამხედრო ორგანიზაციებს რყევა დაეტყოთ. ეს რყევა მხოლოდ იმ ერთიერთმანეთის უნდობლობით აიხსნება, რომელიც სხვა და-სხვა საეჭვო პირების პროპაგანდამ ჩამოაგდო ფრონტზე. სამხედრო კომიტეტებმა დაგვიმტკიცეს, რომ მხოლოდ მათ საშუალებით შეიძლება შეგნებულ დისციპლინის განმტკიცება და რევოლუციონური შემოქმედება. უკანასკნელ ბრძოლებმა დაგვიმტკიცეს, რომ კომიტეტების წევრები, როგორც საუკეთესო ხელმძღვანელნი ბრძოლაში რაინდულ ძლევამოსილობას იჩენდნენ. მათ არად მიაჩნდათ სიკვდილი. მართალია სამხედრო კომიტეტების საქმიანობაში სხვადა-სხვა გაუგებრობასაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ეს მხოლოდ მათ რწმუნებულობის გაუგებრობით და საქმის მოუწყობლობით აიხსნება. ამიტომ კომიტეტების შესახებ შესწორებულ დებულების გამოცემამდე ჩემის ბრძანებით ჯარმა სრული კავშირი უნდა იქონიოს სამხედრო კომიტეტებთან.

სამხედრო სამინისტროს გამგე **სავინკოვი.**

ეროვნული

# ქრონიკა

## თბილისი

◆ **საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წესდების დამტკიცების გამო.** გუშინ სიონის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქმნა პარაკლისი ქართულ ავტოკეფალურ ეკლესიის წესდების დამტკიცების გამო დროებით მთავრობისაგან. პარაკლისს აუარებელი ხალხი დაესწრო. დაესწრნენ აგრეთვე კულტურულ დაწესებულებათა, თავად-აზნაურთა და პროვინციის წარმომადგენლები. პარაკლისის დასაწყისის წინ მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა კათალიკოსის მოსაყდრემ ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ.

◆ **ქართულ კათალიკოსის არჩევნები.** ქართულ კათალიკოსის არჩევნები მოხდება ამა თვის 27.

◆ **საქართველოს საეკლესიო კრება.** საქართველოს საეკლესიო კრების არჩევნები მოხდება ენკენისთვის 8 ს.

◆ **დამფუძნებელ კრების მოწვევა.** მიეცათ დირექტივი, რომელიც შემდეგში გამოიხატება:—1) დააჩქარონ დამფუძნებელი კრების მოწვევა, 2) ყოველივე ღონე იქმნას მიღებული რევოლუციის გასაღრმავებლად და მოპოებულ თავისუფლების შესანარჩუნებლად, 3) მოსკოვის თათბირმა არ უნდა მიითვისოს დამფუძნებელი კრების ფუნქციები.

◆ **ტრამვაიზე მომუშავეთა დელეგაცია აკ. ჩხენკელთან.** მარიამობისთვის 2-ს ამიერ-კავკასიის კომიტეტის წევრი აკ. ჩხენკელი ინახულა თბილისის ტრამვაიზე მომუშავეთა დელეგაციამ და სთხოვა ზომების მიღება, რათა ტრამვაიზე მომუშავენი განთავისუფლებულნი იქნენ სამხედრო ბეგარისაგან.

◆ **მოსკოვის ბჭობის გამო.** თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმა დაადგინეს ენერგიული მონაწილეობა მიიღონ მოსკოვში გასამართავ ბჭობაში. არჩეულნი იქნენ გასაგზავნი დელეგატები: ნ. რამიშვილი, ვ. ჯუღელი და ი. ქარცივაძე.

◆ **ქართველ მხედართა ყრილობა.** ქართველ მხედართა კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ქართველ მხედართა კავშირი მარიამობისთვის 20 აღარ მოხდება. დღე ყრილობისა თავის დროზე იქნება გამოცხადებული.

◆ **შემოწირულება.** თბილისის ქალთა სათავად-აზნაურო გიმნაზიის მზრუნველი საბჭო ულრმეს მადლობას სწირავს კნ. თამარა დავითის ასულ გრუზინსკისას 100 მან. შემოწირულისთვის თავის ქალის კნ. ეკ. ირ. რატიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად, ზემო აღნიშნულ გიმნაზიასთან თავშესაფარის მოსაწყობად. კნ. მ. ვ. და ა. ი. ჯამბაკურ ორბელიანებს 50 მან. შემოწირვისათვის ნაცვლად ეკ. ირ. რატიშვილის გვირგვინისა და 25 მან. შემოწირვისთვის ნაცვლად თ. რ. ყანჩელის გვირგვინისა და ნინა ვიქტორის ასულ ჯაფარიძეს 15 მან. შემოწირვისთვის.

◆ **უბედური შემთხვევა.** ყუბანის ქუჩაზე სახლი № 13 ი ვარვარა ქოშაშვილს შემთხვევით ნავთი გადაესხა და ცეცხლი მოეკიდა. მისი სიცოცხლე საფრთხეშია.

◆ **ღვინის სარდაფს დარბევა ნავთლუღში.** ნავთლუღში ღვინის გაყიდვის გამო მოხდა ინციდენტი. გამოირკვა, რომ ღვინის სარდაფებში დღე და ღამ იყიდებოდა ღვინო. უმთავრესად კი ჯარისკაცები ჰყიდულობდნენ. ბოთლს 2 მანეთათ. მარიამობისთვის 1 ერთ მიკიტანს აუწევია თავისი ნებით ღვინის ფასი და ბოთლი 3 მანეთათ გაუხდია. ამას ჯარისკაცები ძალზე გაუბრაზებია და სარდაფის რბევას შესდგომიან. ჯერ იქაურობა დაულეწიათ და შემდეგ ღვინის სმა დაუწყიათ. სამი დიდი ბოჭკა ღვინო დაუღვრიათ და მეოთხე ბოჭკა ღვინო თან წაუღიათ 218 პოლკის ყაზარმაში. მილიციონერები ჩარეულან საქმეში და საქმის გამორკვევა სდომებიათ, მაგრამ ჯარის-კაცები მათ დამუქრებიან. როდესაც საშინო კომისარიატს მოუნდომებია საქმეში ჩარევა, მაშინ მთვრალ ბრბოს რიცხვით 5000 იერიში თვით კომისარიატის შენობაზე მიუტანია და მოუყვია ქვებით ფანჯრების მტვრევას. კომისარს ფანჯარიდან გადმოხტომით თავისთვის უშველია და ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტისთვის უცნობებია. საბჭოების თაოსნობით გაგზავნილ იქნა ნავთლუღში ჯარი, რომელსაც ბრბო დაუშოშმინებია.

## კავკასია

◆ **კოოპერატივების ყრილობა.** ყარსიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ მარიამობისთვის 6 მოხდება საოლქო კოოპერატივების ყრილობა.

## საქართველო

◆ **პროფ. ბენეშევიჩის გადაყენება.** დროებით მთავრობამ საქართველოს ეკლესიის საქმეებისთვის რწმუნებულათ დანიშნული პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორი ბენეშევიჩი თანამდებობიდან გაუთავისუფლებია.

◆ **წვიმები და საქონლის ჭირი გურიაში.** რამდენიმე დღის დარის შემდეგ კვლავ წვიმა დაიწყო. ნამუშევარის მეოთხედის იმედი აღარ არის. შიმშილი აუცილებლათ მოელის გურიას. საქონლის ჭირი კვლავ მძვინვარებს—ბარად და მთებშიაც. ავადმყოფობამაც იჩინა თავი. სიკვდილი ძლიერ გახშირდა.

## თელავი.

თელავის სხვა და სხვა პარტიებისაგან წარდგენილი ხმოსანთა კანდიდატების რაოდენობა. წარადგინეს: სოც.-დემ. № 1 30 კაცი. ეროვ.-დემოკ. № 2. 14 კაცი. სოც.-ფედერ. № 3. 15 კაცი. დაშნაკცუტუნ. № 4. 25 კაცი, უკრაინელებმა № 5. 10 კაცი. ვაჭრების კავშირმა № 6. 6 კაცი.

◆ **საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის თელავის საქალაქო ხმოსანთა კანდიდატების სია.** 1. გუნიევი ლ. ი. საზ. ინსტრუქტორი. 2. კლიმიევი შ. მ. მასწავლებელი. 3. ჯაფარიძე ვ. მ. ექიმი. 4. ღვინიევი ლ. ი. მღვდელი. 5. ბურჭულაძე გ. ნ. მასწავლებელი. 6. დათუნაშვილი ი. ქ. ხმ. ქ. თვითმართ. 7. საყვარელიძე გ. გ. აგრონომი. 8. ნაიბოვი ბ. ლ. ხმ. ქ. თვითმართ. 9. სუკაჩევ-ერისთავი. ვ. პროფ. სკოლ. გამგე. 10. გოგნიევი ნ. მ. ქ. შ. გამგე. 11. მწყერაძე გ. ი. დურგალი. 12. კურდღელოვი ნ. მ. ტეხნოლოგი. 13. ფხაკაძე ე. ს. პროვიზორი. 14. კურდღელოვი გ. ჰ. ხმ. ქ. თვითმ-რთვ.

◆ **თელავში კვლავ თავი იჩინა პურის კრიზისმა.** ყოველ დილა მუშტის კრივი იმართება ყველა მეპურის დუქნის წინ, მეტადრე განაპირა უბნის დუქნებში.

# ჩემი დღიური

II.

როცა გავიგე საქართველოს ეკლესიის განთავისუფლება—ჩემი პირველი აზრი იყო—სოფელი, სადაც დიდიხანია ხალხმა დაკარგა სარწმუნოება იქნება პირჯვრის დაწერა როგორმე მოახერხონ, მაგრამ ხალხს მეტმა ნაწილმა არ იცის რა მნიშვნელობა აქვს ჯვარსა და სახარებასა.

იმ პირობებშია ჩვენი სამღვდელოება, რომ მისი ერთი ნაწილის სოფლათ მოღვაწეობა მხოლოთ ჯვრისა და სახარების ვაჭრობით გამოიხატება.

ნამეტანათ გაყალბდა ზოგიერთი მღვდლების მოქმედება სოფლათ, ამ უბედური ომის დროს.

ორი წლის წინათ კომლზე იყო ნახევარი კოდი პური მღვდლის სასარგებლოდთ; ხალხისთვის ესეც ძნელი იყო, ძლივ-ძლიობით აძლევდნენ მღვდელს ამ გადასახადს.

არ ვიცი როგორ მოხდა, უწინდელმა მთავრობამ შეიბრალა გლეხ-კაცი და ეს წესი გააუქმა, კომლზე დანიშნა დრამა—ორი მანეთი. ეს მოხდა მაშინ როცა კოდი პური ღირდა 10—12 მან. სულ მცირე მრევლში იქნება 200 კომლი, გამოდის რომ მღვდელმა უნდა მიიღოს შემოდგომაზე 400 მან., 1000—1200 მან. მაგიერათ. რასაკვირველია, ძრიელ დააკლდათ მღვდლებს.

მაგრამ ჩვენმა ზავმა დღეებმა მათ უშველა—ხალხს დაჰქირდა მეტრიკები და მოწმობები.

ეს გახდა მღვდლებისთვის ახალი წყარო შემოსავლისა.

მაგალითათ გლეხკაცს ედიშერას ომში ჰყავს შვილი, სათადარიგო სალდათი.

— მამაო პავლე, მიბოძე მოწმობა, უნდა შემწეობის ფული გამოვიტანო,—სთხოვს გლეხ-კაცი თავისი მრევლის მღვდელს.

— რას მომცემ?!—როგორც ვაჭარი ეკითხება პავლე.

— რა ვიცი მამაო? —იქქება ედიშერა, თან იხვავს—ღონდაც კარგათ დამიწერე და რასაც მიბძანებ—მოგართმევ.

— რამდენი შვილი გყავს?

— სამი ხომ დამეხოცა, სამი კიდე მყავს: ვასილი, ელენე, სპირიდონი.

— მაშ იცი, როგორ გიშველი, იმათაც ჩავწერ, რომლებიც დაიხოცნენ.

— თუ მაგ სიკეთეს მიზამ—საუკუნოდ შენი ყმა ვიქნები!—პავლე იხდის ქუდს და შემდეგ უბიდან იღებს ქისას —აი, მამაო!—თვლის გაქონილ ასიგნაციებს—თხუთმეტი მანეთი ინებე და როცა გამომივა ჩემი შემწეობის ფული—მაშინ კიდე მოგართმევთ.

— მადლობელი ვარ შვილო. განა არ ვიცი შენი კეთილი გული?

მოწმობა ფოსტით მიდის... „როგორც სჩანს ეკლესიის წიგნიდან ედიშერს მაცაკაშვილს ჰყავს სარჩენი ექვსი შვილი: 1) ვახტანგი 14 წლისა, 2) სოფიო 13 წლის, 3) დავითი 12 წლის, 4) ვასილი 10 წლის, 5) ელენე 8 წლის და 6) სპირიდონი 7 ნახ. წლისა"...

ედიშერას მიეღო შემწეობის ფული ორი წლისა, ისე რომ ერთათ ყალბი მოწმობით ერთბაშათ მიიღო ორმოცთუმნამდინ მეტი—მკვდარი შვილებისა.

ერთ ხანს იყო ბრძანება სამუდამოთ დაითხოვონ ჯარიდან ისინი, რომლებიც არიან 43 წლისა.

ეს გახდა მღვდლებისთვის ახალი წყარო ფულებისა: ერთი, ათი, ოციც და მეტი რიცხვი დროებით სახლში დათხოვნილი ჯარისკაცნი, რომლებიც იყვნენ 30, 35 და 38 წლისა, ურცებ გახდნენ 43 წლისა,—„როგორც სჩანს ეკლესიის წიგნებიდან"... ნეტა ეს ფაქტები იყოს ზღაპარი და არ ირყვნებოდეს ჩვენი სოფლის ხალხი. იმედი ვიქონიოთ, რომ ავტოკეფალია ხალხს გააცლის ამ ჭუჭყს და დაუბრუნებს უწინდელ სპეტაკ სარწმუნოებას, როცა საქართველოში დიდი ცოდვა და სირცხვილი იყო სიცრუე და სიყალბე.

დ. ვიდრებიხელი.

# მასწავლებელთა საყურადღებოთ

ამას წინათ გაზეთში წავიკითხე, რომ ათ აგვისტოს დანიშნულია ქუთაისის დირექციის სახალხო ინსპექტორების არჩევნები. კეთილი. მაგრამ ის არის საკვირველი, რომ ოთხი რაიონის ინსპექტორია ასარჩევი და ოთხი კანდიდატია დასახელებული: თვითო ყველა პოლიტიკურ პარტიიდან.

თუ გვიბრძანებენ, უსათუოდ უნდა აირჩიონ ეს დასახელებული პირებიო, მაშ რას გვაწვალებენ—ის ოთხი დანიშნათ ძალებურათ, და საქმე უფრო ადვილათ მოეწყობოდა და თუ ეს არჩევნები მასწავლებელთა სურვილზეა და დემოკრატიულ პრინციპზე იქმნა დამყარებული, მაშინ ადვილი მოსალოდნელია, რომ ამ დასახელებულ პირებიდან ზოგიერთი გაშავდეს და მაშინ ხელახლა უნდა მოხდეს არჩევნები. და რომ ასე არ მოხდეს, უნდა იქმნეს დასახელებული 10—15 კანდიდატი და იმათგან მასწავლებლები აირჩევენ სასურველ ინსპექტორებს.

ისიც მაკვირვებს, რომ სკოლაში შეაქვთ „პარტიობა"! როგორც მკითხველს მოეხსენება, ჩვენში არის ოთხი პოლიტიკური პარტია: სოციალ-დემოკრატების, რევოლუციონერების, ფედერალისტების და ეროვნულ-დემოკრატების, თვითოეულ ამათგანი ასახელებს თვითო კანდიდატს. ვსთქვათ, ოთხივე კანდიდატი გავიდა, მაშინ რომელ რაიონში უნდა დანიშნონ ინსპექტორი სოციალდემოკრატი ან ფედერალისტი და სხვ. ეს საქმე რომ რიგიანათ მოაწესრიგონ, რაიონებიც უნდა იყოს დაყოფილი ოთხ ნაწილათ: ერთ ნაწილში—რაიონში უნდა იყვნენ მასწავლებლები ყველა სოციალ დემოკრატები, მეორეში—ფედერალისტები, მესამეში რევოლიუციონერები და მეოთხეში ეროვნულ-დემოკრატები, მაგრამ ეს შეუძლებელია.

ამიტომაც, ვისაც ესმის ინსპექტორის დანიშნულება, ის ვერ დაეთანხმება ამისთანა არჩევნებს. ინსპექტორი მიუხედავად პარტიისა, უნდა იყოს აღჭურვილი ცოდნით, გამოცდილებით, ბავშვების სიყვარულით და ზედმიწევნილ ზნეობით, ამ შემთხვევაში უკეთესი იქნებოდა ყოველ რაიონს თავისი ინსპექტორი აერჩია. ამას გარდა თუ ჩვენ იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ ინსპექტორი უნდა ემსახუროს, თავის დანიშნულებას, მაშინ არ კმარა ქუთაისის დირექციაში ოთხი სახალხო ინსპექტორი?! დღემდი სახალხო ინსპექტორი ასრულებდა პოლიციის ფუნქციას და არავითარი სარგებლობა და ახალი არ შეჰქონდა სკოლის ცხოვრებაში. ყველა მასწავლებელმა უწყის, რა სასწრაფით მოდის და მიდის ინსპექტორი სკოლიდან სკოლაში, დიდი ბედნიერება იქმნება, თუ ინსპექტორი სკოლაში გაჩერდა ერთი საათი. მაგრამ ამ ერთ საათს რა უნდა გააკეთოს ინსპექტორმა! ის ჩქარობს, რომ ყველა სასწავლებელი დაიაროს წლის განმავლობაში, რომელიც საჭიროა „ანგარიშისათვის".

მეორე რაიონი (შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრები) ისეთი ვრცელია, რომ თუ არა სამი—ორი ინსპექტორი მაინც საჭიროა, ასეა მეოთხე რაიონიც (ზუგდიდის და სენაკის მაზრები) სადაც უსათუოდ უნდა იქმნეს ორი ინსპექტორი. აგრეთვე საჭიროა მესამე და მეოთხე რაიონებში.

სამოსწავლო ოლქის მზრუნველების კრებაზე პეტროგრადში, ძველი რეჟიმის დროს, საჭიროთ სცნეს, რომ სახალხო სკოლების ინსპექტორს ესმოდეს კარგათ ის ენა, რომელზედაც ლაპარაკობენ მისი რაიონის მოსწავლენი. ეს საღმრთო პრინციპი ჯერაც არ არის ცხოვრებაში. მაგრამ რაკი სკოლების ნაციონალიზაცია უკვე გადაწყვეტილია, ეჭვი არ გვაქვს, რომ მის განხორციელებას წინ წაუძღვება არჩევნები ინსპექტორების შერჩევა ამა თუ იმ რაიონის მცხოვრებთა ენასთან. მაშინ საზოგადოება უფრო ნდობის თვალით შეხედავს ინსპექტორს, მისი სიტყვები გულს უფრო მოხვდება და ფუჭათ არ გაივლის.

ვინმე.

# დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის

## დროებით მთავრობის დადგენილება

დროებითმა მთავრობამ, განიხილა დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების შემდგენელი საგანგებო საბჭოს პროექტი და დაადგინა:

I. დამტკიცდეს დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების პირველი განყოფილება (I—V თავი) რომლითაც დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების შემადგენელ საგანგებო საბჭოს თავმჯდომარეს უფლება ენიჭება შე-

# თბილისისკენ და თბილისში

## განცდანი.

III

ხაშურში ძლივს ვიშოვე ერთი პაწია კუნჭული და ზღარბივით მივიკუნჭე.

გზაში მაგრე რიგად არ მიყვარს ლაპარაკი! მიყვარს მხოლოდ თვალიერება მიმომსვლელთა, მათის სახის გამომეტყველებისა, ყურის დაგდება მათის სიტყვა-პასუხისა.

იშვიათად გამომეპარება რომელიმე მგზავრი და ჩვენში რომ მართლა სიტყვას თავისუფლება იყოს, დაწვრილებით დაგიხასიათებდით თითოეულის გულის თქმას, თითოეულის გულის ნადებს.

აი, მაგალითად ეს ჩარჩი, ახლა რომ ჩემ წინ ჩამომჯდარა, გროშისათვის თავის მშობელს გაჰყიდის, ტყავს გააძრობს თავის ღვიძლ ძმას და თავს კი ისე გაჩვენებთ, თითქოს აღჭურვილიყოს „მუშათა კლასის თვალთ ხედვის ისრით".

აგერ მეორე „ამხანაგი", ქადაგებელი მაღალი იდეებისა, „ხალხისათვის თავდადებული ყმაწვილი", მელასავით რომ თვალებს აცეცებს და თრითინასავით რომ სჭამავს წამებს!.. ხმა არავინ გასცეთ! იგი დიდი მოღვაწეა, „კომიტეტის" წევრია! ვერა ხედავთ ჭიანჭველასაც კი ფეხს არიდებს, რომ უნებლიედ არსად გასრისოს ეს საცოდავი მწერიც-კი!?.

მაგრამ, აბა ჰკითხეთ ლიახვის ხეობის გლეხებს საიდან შეიძინა-თქო ორ სართულიანი სახლი? საიდან შეიტანა-თქო ბანკში ფულები? რად იჯდა-თქო ციხეში?—

პარტიამ აბა რა იცის მისი ოინები —მას წმიდა კაცად ეჩვენება, უძაღლო ქვეყანაში, კატაც ლომია!

დავუკვირდეთ ახლა ამ მესამე „ამხანაგს"... მთელი დღე იხრავს საქართველოს უბედურებაზე, ედავება ქვეყნის მტრებს, ეკამათება მოწინააღმდეგეებს... იგი—„ბურჯია" მომავალის საქართველოისა — სახლში კი მისმა ცოლშვილმა ქართული არ იცის და არც არაფერს დაგიდევს საქართველოისას!

არც ეს მეოთხე „ამხანაგია" მაინც და მაინც აღდგომის კრავი!

სულა რომ ამოსდიოდეს მის მუშა-ამხანაგს, ხელს არ წაახმარს და ერთი შაურისათვის ცხრაჯერ დაამტვრევს თავ პირს... ყველა,—მთელი ქვეყანა —შავწყალსაც უზდნია—ოღონდ კუჭი მაძღარი ჰქონდეს და ყოველ დღე ხელ ფასი მოემატოს!

ეს მეხუთე „ამხანაგი" რაღას ბობოქრობს? შინ ცოლსა სცემს, გარეთ კი ქალების ემანსიპაციაზე ჰქადაგებს, შინ მოხუც დედამისს სიმშილითა ჰკლავს, გარედ კი ინგი დუნიას გაბედნიერებას ჰპირდება... მერე რას აგებს ამით? არაფერს! შინაურები შიმშილისაგან ფეხებს უკლეკენ, ხოლო გარეულები ტაშს უკვრენ და ადიდებენ.

ეს მეექვსე ამხანაგიც...

მაგრამ, კმარა!

ვინ არ იცის, რომ უანგარო, გულწრფელი მუშაკი იშვიათია, ხოლო ვინც ასეთია, მას ვერსად ვერ გაუხარია, მისი სახელით სხვა სარგებლობს, მისი შრომით სხვა იქსოვს შარავანდედს!

ეჰ! არც კი მე ვარ კარგი კაცი! რატომ არ ძალმიძს შევსდგე იალბუზის მთაზე და იქიდან გადმოვძახო ჩვენს ქვეყანას: ხალხნო და ჯამაათნო! ნუ სტყუებთ, ნუ სჭამთ ერთმანეთს, თუ ბიჭები ხართ—თავს ნუ კი იქებთ, ისე მოიქეცით, რომ სხვამ გაქოთ თქვენ... ისე მოიქეცით, რომ მადლმან თქვენგან დაესილმა მთ პის ყოველივე ბოროტება და უსამართლობა!..

მაგრამ რა არის ბოროტება, რა არის უსამართლობა?

— ბოროტებაა როცა შენ წამართმევ უფლებას, ხოლო როცა მე წაგართმევ, ეს კი სამართლიანობაა!

აი ლოღიკა ქვეყნის ტრიალისა, აი ღერძი ხალხთა ბრძოლისა?

არა გჯერათ? მ იხედ-მოიხედეთ თქვენს გარშემო და გულახდილად მიბრძანეთ—განა ერთი იმიტომ არა სძაგრავს მეორეს, რომ ამ პირველმა ციცითონ იბატონოს, თითონ დაწეროს კანონები, თითონ გიწინამძღვროს?. თუ ასე არ არის მაშ რათ ვმტვრევთ ერთმანეთის თავ პირს? რას ვშვრებით? საით მივდივართ?

— ეი, გოსპოდინ, ვაშ ბილეტ! ტოფლის ბილეტ—პრიეხალი!—შემომესმა ხმა ჩვენის ვაგონის კონდუქტორისა და გამოვფხიზლდი...

ადამიანს ადამიანურად დამიწყო გულმა ძგერა...

IV

— თბილისი! ჩემი თბილისი! ძლივს არ ვიხილე?

— შენი თბილისი, თორემ ცოლის მზითევში მოგყოლიაო!—თითქოს ჩამოხითხითა სადგურის გამოსავალში მობუზუნე ავტომობილმა და შეჩერდა, თვალები მოვიფშვნიტე... ამ ავტომობილთან იდგა მეორე, მეორესთან მესამე. ყველა უცნაურად იყო აჭრელებული, აყვავებული, წითელ დროშა აფრიალებული...

მოედანზე ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილიყო, ყაყანებდა, ხმაურობდა, ყურთა სმენა მიჰქონდა.

— რა ამბავია? ქორწილია, თუ ქელეხი, ან მთელი ქალაქის სახლები ხომ არ წამოპირქვავებულან, მთელი ქალაქის ცოლქმარნი ხომ არ გაყრილან, მთელი ქალაქის მამაშვილნი ხომ არ წაჩხუბებულან? მთელი თბილისი ხომ არ გაგიჟებულა? ვაიმე, ჩვენო დინჯო თბილისო, ეს რა უბედურება მოგსვლია!

— უბედურება კი არა, დიდი ბედნიერება მოგვივიდა, ხვალ არჩევნებია! კაი დროს ჩამოხველ, ჩემო მეგობარო! —საიდგანღაც მწვდა მკლავში ერთი ჩემი ძველი ნაცნობთაგანი, რომელიც ოცი წელიწადია აღარ მენახავს.

საკვირველია, ან კი როგორ და მიცნო?

— არჩევნები? ქალაქის არჩევნები? რა ვქნათ მერე, განა ამიტომ ქვის სროლა და ტანისამოსის ხევა უნდა დავიწყოთ?

— როგორ გეტყობა, რომ პროვინციელი ხარ... დღეს გამოცდაა, ეგზამენია! დღევანდელი დღე გვიჩვენებს, რა ძალაცა გვაქვს, დღეს უნდა დავასამაროთ ჩვენი მტრები, ჩვენი მოწინააღმდეგენი. მაშ ნუღარ ვიგვიანებთ, ერთი წუთიც ძვირფასია...

უსიტყვოთ გამიტაცა.

წავედით, ქუჩიდან ქუჩაზე გადავდიოდით.

ერევნის მოედანზე დიდი მიტინგი იყო გამართული. შენობებზე დროშები ფრიალებდა, კედლები სხვა და სხვა ნომრებით იყო აჭრელებული. ხალხი ჯგუფ ჯგუფად დაყოფილიყო, ყველა თავ-თავის ორატორს უსმენდა, ჩხუბობდა, კამათობდა. ამღელვარებულ ზღვას ხალხისას ტალღა ცნობის მოყვარეთა მიჰქონდა და მოჰქონდა.

— არც ერთი ხმა სოციალ-რევოლიუციონერებს—ვერაგი ხალხი ჰყავთ დასახელებული! არც ერთი ხმა ფედერალისტებს—მატყუარანი არიან! არც ერთი ხმა თავისუფლების პარტიას და მათ სიაში ჩაწერილ სომხებს: ბურჟუებია, კონტრ-რევოლიუციონერებია, არც ერთი ხმა დაშნაკცუტუნებს—ჯაშუშებია! არც ერთი ხმა ეროვნულ დემოკრატებს—შოვინისტებია... ყველა ხმები მოგვეცით ჩვენ, ჩვენ, რომლებმაც თვალები აგიხილეთ, ჩვენ, რომლებმაც ჭკუა გასწავლეთ, ჩვენ, რომელთაც ხელები გვაქვს დაკოჟრებული, (თვით ორატორს კი ხელზე ლაიკის ხელთათმანები ეცვა) ჩვენ, რომელთაც დავანგრიეთ ტახტი თვითმპყრობელობისა, დავამსხვრიეთ ბორკილები მონობისა, ჩვენ, ჩვენ უნდა მოგვცეთ ხმა! გესმით თუ არა! აბა, შეხედეთ ჩვენს ავტომობილებს, ჩვენს განცხადებებს... ეს ყველა შრომა ღირს... ეს ორიგინალობაა, ეს, ნიჭი და აღფრთოვანებაა! ვერვინ შეგვედრება ჩვენს ვაჟკაცობასა და თავდადებაში. მაშ, მოგვეცით ხმები მხოლოდ და მარტო ჩვენ—ყვიროდა ორატორი თავ-განწირვით და თან ხელებს იქნევდა...

— გესმის, ამხანაგო, გესმის! ჩვენ ვიმარჯვებთ, ჩვენია მომავალი, ძირს ყველა ბურჟუები, ყველა მყვლეფელები, წვრილი მესაკუთრენი, ინტელიგენცია და ძმანი მათნი! გაუმარჯოს პროლეტარს! აღარ ისვენებდა ჩემი ნაცნობიც.

— აგრე რომ იყოს, ხომ გასწყდა მთელი ქვეყანა, მთელი საქართველო! განა რამდენია საქართველოში პროლეტარი?—განცვიფრებით შევეკითხე ჩემის მხრივ.

ჩემმა ნაცნობმა თვალები დამაჭყიტა და აღშფოთით მკითხა:

— მომითმინე, შენ ვინა ხარ? რომელი პარტიისა ხარ, განა ჩვენ არ გვეკუთვნი?

— მე პირველ ყოვლისა მინდა ვიყო ადამიანი, მერე ქართველი, მერე...

— აი, შეგარცხვინა ღმერთმა! მე კი კაცი მეგონე... აკი ერთ დროს ჩვენს გაზეთებში სწერდი... სხვა გაზეთებს კი მე არ ვკითხულობ... არა, მე შენთან ლაპარაკი აღარა მსურს, მოღალატევ!—მომაძახა ჩემმა „მეგობარმა" და თოფნაკრავივით გასწია.

მალე იგი ბრბოში შთაინთქა.

დავრჩი მარტოკა, გაშტერებული, გაოგნებული და ნელის ნაბიჯით გოლოვინის პროსპექტისაკენ გამოვწიე...

ოცი წელიწადიც რომ მძინებოდა ასეთ უცნაურ სიზმარს მაინც ვერა ვნახავდი...

აწერა შეუძლებელია!..

მთელი ქვეყანა ლაპარაკობდა, ქადაგებდა, ხმაურობდა, ზეციდან ფერადი ქაღალდის წვიმა მოდიოდა.

დავთვერი ხალხის ყიჟინით და მეც ყვირილი და კუნტრუში დავიწყე.

— ამხანაგებო და მოქალაქენო! მიეცით ხმა იმათ, ვინც სდუმს, ხმას არ იღებს, ვინც ჩუმად იტანჯება, ვინც საიდუმლოთა ღვრის ცრემლებს, ვისთვისაც ჯერ არ გათენებულა, ვინც დაბრიყვებულია შინაურებისა თუ გარეულებისაგანაც, ვინც გაუდევნეს თავის სახლიდან, ვინც დაამცირეს თავის ჭერ-ქვეშ, ვინც დაიმონეს, დაიმარჩილეს, როგორც ლეჩაქ მოხდილი ზეინაბი, ვინც გადააგვარეს, გაბოროტეს როგორც ოთარები, ვის სუფრაზედაც დღეს არხეინად მოუკეცნიათ ქართველების შრომით გასუქებულებს და ვისთვისაც ნასუფრალიც აღარ ემეტებათ! ხალხნო და ჯამაათნო! მიეცით ხმა მშიერებს, მწყურვალებს, დაბრიყვებულებს, დაჩაგრულებს. მიეცით ხმა მამადავითის მთას, მახათას, დიდუბეს, ვერას, კუკიას, ქართულ თბილისს, მთელ საქართველოს, მთელს ქართველ ხალხს!—მიეცით თავისუფლება მთასა და ბარს ჩვენი ტურფა ქვეყნისას... უამისოდ კი თქვენ ვინ ხართ? საიდან მოსულხართ? რათ ეძლევით თავ-დავიწყებას, რად სჩადიხართ უსამართლობას. მდიდრები ხართ და გვიბრიყვებთ? მოხერხებული ხართ და გვჯობნით? ძლიერები ხართ და გვჩაგრავთ? კადნიერნი ხართ და აბუჩად გვიგდებთ?—ეს ხომ ძალმომრეობაა, ამხანაგებო, ეს ხომ უღმერთობაა, მოქალაქენო, ეს ხომ გმობაა თვით ბუნებისა, ბრმანო და ყრუნო, ეს ხომ იგივე ბოლდხანობაა, გატაცებულნო, ეს ხომ იგივე თვითმპყრობელობაა, ქართველო მუშებო, რომელი თვითმპყრობელობაც თითქოს დაამხეთ, თითქოს დაანგრიეთ! ამხანაგებო და მოქალაქენო! ძმანო ქართველნო, შეერთდით, თორემ კვლავ დაემარცხდებით!—მაშ მიეცით ხმა...

— დაიჭით, შეჰკარით, გაჩუმეთ ვიღაც ოხერია, ეგ კონტრ-რევოლიუციონერი უნდა იყოს!—შემომესმა ამ დროს გააფთრებული ღრიალი ბრბოისა და სიტყვა პირში გამიშრა... ცოტა კიდევ და უეჭველად გამწეწავდნენ, მაგრამ ამ დროს ბრბოს ყურადღება მიიპყრო დიდებულმა სანახაობამ.

ქუჩაზე გამოჩნდა აუარებელი ეტლი, ავტომობილი, ურემი.. ყველა ავტომობილებს, ყველა ეტლებს, მათ ცხენებს, მათ გამრეკლებს, ათასნაირი განცხადება ეკრა თვლებზე, გვერდებზე, შუბლზე, მკერდზე, ხელებზე, კუდებზე.

ყველა თავისას ყვიროდა, ყველა თავისას აქებდა, ყველა თავისას მისთქვამდა... ერთი მეორეს ემუქრებოდა, ერთი მეორეს განადგურებას უპირებდა.

„გაბოროტებული თვალთა ბრიალი, გაბრაზებული კბილთა ღრჭენა, გაავზნეებული ღრიანცელი, გაყვზნებული თავ-დავიწყება, აბობოქრებული გულის-თქმა თითოეულის ჯგუფისა, თითოეულის პარტიისა, თვითეული კაცისა, თუ ქალისა—მთელ ქვეყანას წაბლეკით ემუქრებოდა.

შოშიასავით ენა მუცელში ჩამივარდა—ხმა ვეღარავის გავეც,—და მხოლოდ ჩემსავე თავს დავუყენე საკითხი არა ახალი, არა პირველი და უკანასკნელი:

— სად არის, სად აღთქმული ერთობა იგი?

— სად არის, სად დაპირებული ბედნიერება იგი?

— სად არის, სად სამსახური ქვეყნისა იგი ქებული?

— სად?

— ოცნების სამეუფოში!

ია ეკალაძე.

(დასასრული იქნება)

---

*) იხ. „საქართველო" № 168.

მუშათა და დროებით მთავრობას წარუდგინოს ამ დებულების დანარჩენი განყოფილებანი, არჩევნების წესები ლაშქრისა და ფლოტისათვის და აგრეთვე წესები დადგენილების იმ გამონაკლისებზე, რომლებიც მოხსენებულია ზემოხსენებულ დებულების III—V თავში და რომლებიც საჭირო იქნება რუსეთის სხვა და სხვა ადგილებისათვის.

II. საარჩევნო სიების შესადგენად საჭირო წინასწარი სამუშაო დაევალოს იმ სახელმწიფო დაწესებულებებს და საზოგადო ორგანიზაციებს, რომელთაც აღნიშნავს დროებითი მთავრობის განსაკუთრებულნი დადგენილებანი.

III. დამფუძნებელ კრების არჩევნები რომ მალე მოხდეს და კარგათ წარმოებდეს, მისი ტეხნიკურათ მოწყობა დაევალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

IV. იმ გაუგებრობის გადასაწყვეტად, რომელსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების ასრულების დროს, შედგენილ უნდა იქმნეს სენატის პირველ დეპარტამენტის 5 სენატორისაგან შემდგარი განსაკუთრებული საკრებულო; ამ საკრებულოს დადგენილება, რომ კანონიერად ჩაითვალოს, საკრებულოს სხდომას სამი სენატორი მაინც უნდა დაესწროს. განსაკუთრებულ საკრებულოსთან არსდება კანცელიარია მოსამსახურეთა სათანადო რიცხვით.

V. დაუყოვნებლივ მოხდენილ იქმნეს არჩევნები დამფუძნებელ კრებისათვის მტრისაგან დაჭერილ გუბერნიებში, იმ ტერიტორიის გარდა, რომელიც მომავალ პოლონეთის სახელმწიფოში შევა, რა წამსაც კი იმ გუბერნიებს მტერი დასცლის. ამასთან მათი დეპუტატების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ამა თუ იმ გუბერნიებისათვის დროებით მთავრობის მიერ დადგენილ დეპუტატების რიცხვს.

VI. დადგენილ იქმნას შემდეგი გარდამავალი წესები:

1) სანამ ადგილობრივათ დაწესდებოდეს საგუბერნიო და სამაზრო საერობო, და საქალაქო და სასოფლო თვითმართველობანი, თანახმად დროებით მთავრობის დადგენილებისა, დამფუძნებელ კრების საარჩევნო საქმეთა კომისიების წევრთა მაგიერ და აგრეთვე მათგან არჩეულ (დებულების მე-15, 17, 18, 20 და 21-ე მუხლი) საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ნაცვლად დროებით დაინიშნებიან ისინი, რომელთაც დროებით მთავრობის მიერ აღნიშნულნი ადგილობრივ საზოგადო დაწესებულებები და ორგანიზაციები აირჩევენ.

2) საოლქო სასამართლოების ადმინისტრატიულ განყოფილებათა დაარსებამდე, ის მოვალეობა, რომელიც დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების მიერ ხსენებულ განყოფილებათა თავმჯდომარესა და წევრებს ევალებათ აღსრულებულ იქმნეს საგუბერნიო (საოლქო) ქალაქებში საოლქო სასამართლოების თავმჯდომარის ამხანაგებისა და სამოქალაქო განყოფილებათა წევრთა მიერ.

3) სანამ ადმინისტრატიულნი მსაჯულები თანამდებობაზე შეუდგებოდნენ დამფუძნებელ კრების საარჩევნო დებულების მიერ მათზე დაკისრებულ საქმეებს საოლქო სამმართველოს მაზრის წევრები შეასრულებენ. ხოლო სადაც ისინი არ იქნებიან—ადგილობრივნი მომრიგებელნი მოსამართლეები, რომელთაც მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა ანდა მის მაგიერი დაწესებულება ამოირჩევს.

VII. ეს დადგენილება სენატის მიერ გამოქვეყნებამდის იქნას მოქმედებაში შეტანილი.

(გაგრძელება იქნება)

# ბოლშევიკების აჯანყება და ლენინი

### პირველ ტყვის მფრქვეველ პოლკის აჯანყება. მკათათვის 3—5-ს ამბების გამოძიება

ამ ჟამად შესაძლოა გამოქვეყნდეს ზოგიერთა საბუთები, რომელთა ძალითაც ულიანოვი—ლენინი, ზინოვიევი, კოლონტაი, გელფანდი (პარვუსი), ფიურსტენბერგი (განეცკი), კოზლოვსკი, სუმენსონი, პრაპორშჩიკი სემაშკო და სახაროვი მიხმანი, ილინი (რასკოლნიკოვი) და როშალი, როგორც მოღალატენი და შეიარაღებულ აჯანყების მომწყობნი, პასუხის გებაში მიეცნენ. მკათათვის 3-ს აჯანყება ტყვის მფრქვეველ პოლკმა დაიწყო. მას პრაპორშჩიკი სემაშკო ხელმძღვანელობდა. საღამოთი (დაახლოვებით 10 ს.) დარაზმული პოლკი ჯავშნიან და დიდ საბარგო ავტომობილებით კშესინსკის სახლისკენ გაემგზავრა. ავტომობილები ტყვის მტყორცნელებით ჰქონდათ შეიარაღებული. აქედან პოლკი თავრიდის სასახლისკენ გაემგზავრა. აქ მას ზინოვიევი და ტროცკი სიტყვებით შეეგებნენ. აქ მათ განუცხადეს, რომ პირველი გამარჯვება უკვე მათ დარჩათ, რადგან მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მშრომელთა სექციამ უკვე თანხმობა განაცხადა რომ მთელი უფლება-მოსილება მუშ. და ჯარ. კ. დეპ. საბჭოს ხელში გადავიდესო. ზინოვიევ-ტროცკის გარდა აქ გამოვიდა 1 ტყვის მფრქვეველ პოლკის ერთი ჯარის კაცი, რომელიც დროებით მთავრობასთან მოთხოვნილების წარსადგენად დელეგაციის ამორჩევას მოითხოვდა. ყველა ეს ღამის 2 საათზე მოხდა.

მეორე დღეს, მკათათვის 4, პოლკში გამოცხადდა პრაპორშჩიკი სემაშკო, რამდენიმე მეზღვაურით და მუშებით და პოლკს აგულიანებდა იარაღით და ტყვის მფრქვევლებით გამოსულიყვნენ და მთავრობის ჩამოგდება მოეთხოვათ.

### კრონშტადტელების ამბოხება

მკათათვის 3-ს პეტროგრადიდან კრონშტადტს ჩამოვიდა ილინი. „ლუზის მოედანზე" (იკორნაია) მიტინგი გაიმართა. ილინს თან ახლდა რამდენიმე დეპუტატი ტყვის მფრქვეველ პოლკისა. ილინი ხალხს დროებით მთავრობის ჩამოსაგდებათ და უფლება მოსილების მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს ხელში გადასაცემად ხალხს შეიარაღებულ ამბოხებისთვის მოუწოდებდა. იმ საღამოთივე მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომამ რასკოლნიკოვის (იგივე ილინი) თავმჯდომარეობით გამოიტანეს რეზოლიუცია, რომლის მიხედვითაც მათ პეტროგრადის მეციხოვნეებთან ერთად შეიარაღებული დემონსტრაცია უნდა მოეხდინათ პეტროგრადში. მათი ლოზუნგი „მთელი ხელმწიფება (ВЛАСТЬ), მუშათა და ჯარის კაცთა დეპ. საბჭ. ხელში".

ეს დადგენილება, რასკოლნიკოვის ხელის მოწერით იმავ ღამეს, კრონშტადტის მეზღვაურთა და მეციხოვნეთა უფროსის სახელით, ტელეფონის დეპეშებით აცნობეს ქალაქის ჯარს. მკათათვის 4-ს დილის სიგნალზე ვინტოვკებით შეიარაღებულ ჯარის კაცებმა, მეზღვაურებმა და მუშებმა მთლად დაჰფარეს ლუზის მოედანი. აქ მათ რასკოლნიკოვი და როშალი სიტყვებით შეეგებნენ. აქვე დაურიგეს შეკრებილებს პატრონები. მათი რიცხვი 5.000-მდე იყო.

### ლენინის ბრძანება

დილის 11 საათზე ლენინი ნიკოლაევის ხიდთან გადმოსხდნენ. აქედან რასკოლნიკოვისა და როშალის ხელმძღვანელობით კშესინსკის სახლისკენ გასწიეს. აქ მათ მიესალმა ჯერ ლუნაჩარსკი და შემდეგ ლენინი. ისინი თავრიდის სასახლეში მისვლას და კაპიტალისტ მინისტრების ჩამოგდებას მოუწოდებდნენ. ლენინმა ამასთან უთხრა მათ: რომ იმ შემთხვევაში თუ უარი მივიღეთ, ცენტრალ კომიტეტის განკარგულებას უნდა მოუცადოთო. ლენინის სიტყვის დროს ერთმა კრონშტადტელმა დაიყვირა: „გვეყოფა, მეგობარო, სიტყვებით გამასპინძლება, წაგვიყვანეთ მისთვის, რისთვისაც გამოგვიწვიეთო". ამის შემდეგ ლენინმა გასცა ბრძანება, რომ რასკოლნიკოვისა და როშალის მიერ ნაჩვენებ გზით წასულიყვნენ თავრიდის სასახლისკენ. „ლიტეინის პროსპექტზე" გზა და გზა ატეხილ სროლამ ბევრი იმსხვერპლა. მეამბოხენი თავრიდის სასახლეს მიადგნენ და ზოგიერთ მინისტრების დატუსაღებას შეეცადნენ. მინისტრები ამ დროს ცენტრალ კომიტეტის სხდომაში მონაწილეობდნენ. ს. დ. მუშათა პარტიასთან არსებულ სამხედრო ორგანიზაციამ წერილობითი ბრძანებით კრონშტადტიდან კრეისერის გამოგზავნა მოითხოვა. გამოირკვა, რომ ის მატროსები, ვინც ამას წინააღუდგნენ დახვრიტეს. მკათათვის 4 პირველი ტყვის მფრქვეველთა პოლკიც გამოვიდა. იგი პრაპორშჩიკმა სახაროვმა შეაგულიანა. გამართულ მიტინგზე სახაროვმა აიძულა, რომ ჯარის კაცები იარაღით გამოსულიყვნენ, ამასთანავე აღუთქვა, რომ მოსალოდნელ სისხლის ღვრისათვის პასუხს ის აგებს. პოლკის უფროსის და საპოლკო კომიტეტის გავლენით მკათათვის 4-ს მთელი პოლკი უკვე შეიარაღებული გამოვიდა. თავრიდის სასახლესთან პოლკმა თავის მოთხოვნილებანი წარმოადგინეს. ამ დროს პოლკის ნაწილმა სახლში დაბრუნებაზე თანხმობა განაცხადა, მაგრამ სახაროვმა, წინააღმდეგ პოლკის უფროსის ბრძანებისა, ჯარის კაცები დაარწმუნა, რომ პოლკმა ნევის პროსპექტზე ბურჟუებს თავიანთი ძალა უნდა უჩვენოსო". „ლიტეინის პროსპექტზე" პოლკმა სროლა ასტეხა, მრავალი დაიხოცა და დაიჭრა. გამოირკვა, რომ სახაროვი წინადაც ეწეოდა დემაგოგიურ პროპაგანდას შეტევის წინააღმდეგ.

### ტროცკის პროპაგანდა

შეკრებილია უკვე დანამდვილებითი ცნობები იმის შესახებ, რომ მკათათვის 3—5 ჯარის კაცების გამოსვლა მათი სურვილების გამომხატველი არ იყო, მათს გამოსვლაში დიდი დანაშაული მიუძღვით იმ ბელადებს, რომელნიც დროებით მთავრობის ჩამოსაგდებათ ეწეოდნენ აგიტაციას.

მკათათვის 2-ს გაიმართა პირველ ტყვის მფრქვეველთა პოლკის მიტინგ კონცერტი. კონცერტში მონაწილე ლუნაჩარსკი, ტროცკი და მრავალი სხვა. ჯარის კაცებს დროებით მთავრობის ჩამოგდებას, უფროსების წინააღმდეგობას და შეტევაზე უარის განცხადებას ურჩევდნენ.

დიდი აღელვება მოახდინა ტროცკის მოწოდებამ, რომელიც ამტკიცებდა, რომ დროებით მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლაა საჭიროო. მის სიტყვას მსმენელთა ყვირილი არღვევდა. ალაგ-ალაგ ისმოდა: „მოვკლათ კერენსკი", „ძირს ომი", „ძირს მინისტრი-კაპიტალისტები", „არ გვინდა შეტევა", მთელი ხელმწიფობა მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოთა ხელში!.."

### ლენინის შტაბი

გამოირკვა, რომ შეიარაღებული გამოსვლა რუსეთის სოციალ-დემოკრატების მუშა პარტიის ცენტრალ კომიტეტის ხელმძღვანელობით იყო მოწყობილი.

კშესინსკის სახლი ლენინის შტაბად იყო გადაქცეული. აქ აღმოაჩინეს მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალ კომიტეტთან არსებულ სამხედრო ორგანიზაციის ბლანკები. თურმე ამ ბლანკებზე იწერებოდა შეიარაღებულ გამოსვლის მოსაწყობად სხვა და სხვა განკარგულებანი აქვე აღმოაჩინეს:

1) ცნობები: ჯარისა და შეიარაღებულ მუშების რაიონებად დანაწილების შესახებ, შეიარაღებულთა ხელმძღვანელობის შესახებ, პეტრე-პავლეს ციხის და ვიბორგის ჯგუფის, პეტროგრადის მხრის და მარსის მინდვრის ჯარის ნაწილებზე და სხვა და სხვა პოლკებთან დამოკიდებულებაზე.

2) რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მუშათა პარტიის საერთო საქალაქო კონფერენციაზე მკათათვის 3-ს მიღებული რეზოლიუცია, რომლითაც მუშათა და ჯარის კაცებს თავიანთი ნების გამომხატველად ქუჩაში გამოსვლას ურჩევენ. ეს რეზოლიუცია ცენტრალ კომიტეტში და სამხედრო ორგანიზაციებმა დაამტკიცეს.

(შემდეგი იქნება)

# ინგუშები და რუსები

ჩრდილო კავკასიაში მომხდარ ამბების გამო ალდის-აულთან მთიელთა მრავალ რიცხოვანი მიტინგი გაიმართა. აქ მთიელთა წარმომადგენელმა მომხსენებელს პოლკოვნიკს შჩერდინსკის შემდეგი სიტყვით მიმართა:

„ვმადლობთ მოსალმებისთვის. ჩვენ სხვებზე ნაკლებად არ გაგვიხარდა თავისუფლება, მაგრამ ისე მოიქეცით რომ ჩვენი პიროვნება მართლა ხელშეუხლებელი რჩებოდეს. უზრუნველ გვყავდით—ქუჩებში ისე გავიაროთ, რომ მთვრალ ჯარისკაცთაგან შეურაცხყოფა არ მოგვაყენოს, ჩვენ ყველა ჯარისკაცს არა ვდებთ ბრალს, მაგრამ მათ შორის არიან ისეთი ხულიგნები, რომელნიც ჩვენს დედაკაცებსაც კი შეურაცხყოფას აყენებენ. მოგვანიჭეთ ჩვენ შამილის ძლევის დროს დაკარგული პიროვნების თავისუფლება და ნახავთ, რომ ჩვენც ისეთივე მოქალაქენი ვართ როგორც თქვენ. ყაზახებთან ჩვენ მოვრიგდებით, რადგან ყველა ყაზახმა იცის, თუ ვინაა მისი ყუნადი და ვინ—მტერი. ჯარისკაცები ჩვენ არ გვინდა; ისინი ჩვენ არ გვიცნობენ და ამიტომ შეურაცხყოფას გვაყენებენ".

ცარცვა-გლეჯასთან ბრძოლის შესახებ მთიელებმა განაცხადეს: „ჩვენ თქვენზე ნაკლებად არა გვსურს, რომ ქურდობისა და ყაჩაღებისაგან განვთავისუფლდეთ. მოიგონეთ, რომ ომის უბედურებას ჩვენც ვიზიარებთ, მოიგონეთ რომ ჩვენც ხმამაღლა ვაცხადებთ: ოჯახში დარჩენილ ვაჟკაცმა თხრილებში მსხდომნი უნდა გამოკვებოს. ჩვენი პოლკები, რომელთაც ჩვენ მეექვსეთ ვავსებთ თავგანწირვით იბრძვიან იქაც კი, სადაც თქვენები ვერა დგებიან. ყველა ეს იმას მოწმობს, რომ ზოგიერთა პირების დანაშაულის გულისთვის მთელი ერის დასჯა არ შეიძლება. ჩვენ ქურდები ხშირად რამდენიმე ათ ვერსზე ხელშეკრულნი მოგვყავს თქვენს ქალაქებში, თქვენი მოხელენი კი დასამტკიცებელ საბუთების უქონლობას იღებენ მიზეზად და უკან დაბრუნებული ქურდები უარეს დღეს გვაყენებენ.

ჩვენ ვიცით, რომ რუსეთში უარესი ამბები ხდება, ვიდრე ინგუშებისა თუ ჩეჩნების მხარეში, მაგრამ თქვენ თვალში დვირეს ვერ ხედავთ და ჩვენი დასჯა კი გსურთ იმ ამბების გამო, რომელთაც საერთო მტერი აწყობს.

# კორესპონდენცია

## გვალვა და სარწყავი წყლის განაწილება ქართლში

ქ. გორის ზემოთ, ჩრდილოეთის მხარეზე, აგერ თვე-ნახევარზე მეტია, რაც ციდგან ნამი არ ჩამოვარდნილა, ამის გამო მეტ ნაწილად სოფლებს სარწყავი წყალი არ ჰყოფნისთ და მოსავალი ხმება. მაგალითად ს. ფლავის მამულები სარწყავია, პატარა ლიახვიდან გამოყვანილ რუთი ირწყვის, მაგრამ თვით ეს რუ ალაგ-ალაგ ისე გაფუჭებულია ნიაღვრებისაგან, რომ ამაში გამოყვანილი წყალი მარტო ამ სოფელსაც არ ეყოფოდა, მეტადრე ამისთანა გვალვის დროს.

ამ რუთი სარგებლობენ ჯერ სოფელი ქერე, მერე ფლავი, შემდეგ ფლავისმანი და ს. ქვეში. ერთხელ და სამუდამოდ ვერ მოახერხეს ამ სოფლებმა საერთო ძალით მკვიდრი კედლებით გააკეთონ უსაჭიროესი საგანი და საბოლოოთ მოსპონ ურთიერთ შორის უსიამოვნობა და დაიკმაყოფილონ თავი სარწყავი და სასმელი წყლით.

ერთობის დრო ამ საქმეს ხელს უნდა უმართავდეს, მაგრამ სულ წინააღმდეგსა ვხედავთ.

აქ ჩამოთვლილ სოფლებს ჩვეულებათა აქვთ სხვა მოხელეთა გარდა ყოველ წელს მერუეებიც აირჩიონ ხოლმე—ზოგან ორ-ორი, ზოგან სამ-სამი, რომელთა მოვალეობას შეადგენს იარონ რუზე—წყალი არსად გადახევდეს, ათვალიერონ მოსარწყავი ადგილები, მისცენ ხალხს რიგითა და ჯერით ნაკადული იქ, სადაც უფრო ძალიან ეჭირვება მორწყვა. ამისათვის ამ მერუეებს შრომისათვის ეძლევა საფასური, მაგალითად ფლავში დღიურ ბაღსა და ვენახზე 2 მან., ჭინახულზე თითო მან.

სწორედ აქ იჩინა თავი ძველებურმა მოქრთამეობის სენმა, რაც ისე გვღუპავდა წინათ.

სადღა არიან კომისრის თანაშემწენი ამ სოფლისა? ისინი ყურსაც არ იბერტყენ.

საზოგადოდ ამ ჟამად სოფლად ძლიერ დამძიმდა ატმოსფერა. რევოლუციის ტრფიალი გაჰქრა. შური და სხვა ქვენა გრძნობანი თვალსაჩინოდ ზემოთ ამოატივტივა ცხოვრებამ. ვისაც ყური აქვს—ისმინოს, და ვისაც თვალი—დააკვირდეს.

გ. პ.

—

## გოდგისხევიდან (ქიზიყი)

### მოსავალი. პურის მყიდველი კომისია. სნეულებათა მსხვერპლნი.

წელს ჩვენ საზოგადოებას ვერ დაუდგა კაი დარი. ჯერ არი და საზოგადოებამ, როგორც ჯილ-კაცობით და მუშა ხელით დაცალიერებულმა, აგრეთვე უთესლობისა გამო—ვერ შესძლო საკმარისი ხვნა და თესვა მიწისა. ამასთან ერთად ზედ დაერთო უამინდობა და პურის მოსავალი მეტად ნაკლები და თითქმის არაფრად სათქმელი მოვიდა. ასე რომ მახლობელ მაზრებიდან გვიხდება სყიდვა პურისა კოდი 40—45 მან. და რაც დღე გადის ჭირნახულის ფასები ერთი ორად იწევს მაღლა და მატულობს, ყველს და სხვა რამ მაგისთანას ხომ სრულებით ვერ ნახავთ.

როგორც აქ ისე მთელს ქიზიყში დაარსდა კომისია ხალხისთვის პურის საყიდლათ. თუმცა ხსენებულს კომისიას ჯერ-ჯერობით სასურველი ნაყოფი არ გამოუღია, მაგრამ იმედია შემდეგში საქმეს წესიერად მოაგვარებენ. ამასთანავე ერთად უნდა შევნიშნო, რომ წინანდებური პურის მყიდველ-გამყიდველ ჩარჩების თავგასულობა სოფლად აილაგმა და დღეს მათ გასაქანს აღარსად აძლევენ.

ჩვენში წელს ორჯერ მოვიდა უდიერი სეტყვა და მთლად გაანადგურა ვენახები და ღვინის მოსავლის იმედებიც გაგვიქრა. აქაური გლეხი მეტად გულგატეხილია ასეთი მოუსავლობის გამო და მასთან ერთად ყოველივე სურსათ-სანოვაგის სიძვირის აუტანლობით.

სოფელში მძვინვარებს ავადმყოფობა „სახადი ქუნთრუშა" და დღე არ გავა ისე, რომ რამდენიმე ყმაწვილი არ იმსხვერპლოს. საზოგადოდ სოფლად მეტად სუსტია საექიმო დახმარება.

აქ ყველა მოუთმენლად ელის იმ ბედნიერ დროს, როდესაც ბოლო მოეღება კაციჭამია და ქვეყნის გამანადგურებელ ომს.

გიორგი შახაშვილი.

—

## წარმოდგენა აბასთუმანში

ორშაბათს, 24 ივლისს, ადგილობრივი სცენის მოყვარეთა წრის მიერ ბ. ანტონ მუსხელიშვილის რეჟისორობით, წარმოადგინეს აქაურ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სასარგებლოდ „უშნო არშიყი", კომ. 3 მოქმ. თუთაევისა. მიუხედავად პიესის უშინაარსობისა, თავის მოხდენილი თამაშით ბ-ნმა მუსხელიშვილმა (იოთამ ზეთაძე), დამსწრენი ბევრი აცინა. კარგად თამაშობდენ დანარჩენებიც: ქ. ქ. ნინო ნადირაშვილი (ნინო), ნინო თალნიაშვილი (ქალია), ბ.ბ. ნიკა მასხარაშვილი (თევადი რამან), აკაკი კოსტავა (მამასახლისი), ვასო კონსტანტინაშვილი (აბრამა), გიორგი ნაიბაშვილი (სვიმონ), სესიაშვილი (მეურმე) და ვ. ფხაკაძე (ხოსრო).

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა სიმღერა ლეკურ ნაურსკით, რაშიდაც მონაწილეობა მიიღეს ქ. მ. თორაძისამ, ბ. ბ. ლევან ყასალაშვილმა და ბ. ფედოროვმა, რომლებიც რამოდენიმეჯერ იქმნენ გამოწვეულნი.

ხალხი ბლომად დაესწრო, და ძლიერ ნასიამოვნებიც დაიშალა. პიესის არჩევაში ბრალს არავისა ვდებთ, რადგან სარწმუნო წყაროდან გავიგეთ, რო ამ წრეს ამ პიესის მეტი არა ებადათ რა, ვერც ვერსად იშოვეს თანამედროვე პიესა, თორემ შეიძლებოდა კიდევ გაემართათ, რადგან მოთამაშე ძალები საკმაოდ არიან. მადლობის ღირსი არიან საერთოდ ყველანი, და განსაკუთრებით კი შემდეგი პირნი: ბ. მუსხელიშვილი, ძმები კონსტანტინაშვილები, სამხედრო მედიკი სევ. ფალავა (მოკარნახე), ბ-ნი ფეოდოროვი (ნაურსკი), აგრეთვე ქ. ნინო ნადირაშვილი და ბ. ნიკა მასხარაშვილი. ამ ორმა ამხანაგმა თავიანთი ხარჯით ამ საღამოსათვის დაიქირავეს სიმებიანი ორკესტრი.

თანამოაზრეთა ჯგუფის მონდობი
ლობით ვ. გამყრელიძე.

## წერილი რედ. მიმართ

(თიანეთის ამბების გამო.)

გაზეთ „ერთობას" 102-ში მოთავსებულია ცნობა თიანეთიდან, რომ მიხა ძებნიაურს თავის სოფლელებმა ბოიკოტი გამოუცხადესო.

მართალია, სოც. დემოკრატების ჩაგონებით ჩემმა სოფლელებმა ბოიკოტი გამომიცხადეს, მაგრამ, მათდა სამწუხაროდ, ბოიკოტი სისრულეში არ იქმნა მოყვანილი, რადგანაც სხვებზე ადრე მე გავათიბინე ბალახები და მოვამკევინე ყანები. ჩემი სოფლელები უწინაც არა მუშაობდენ ჩემთან, რადგანაც მცხოვრებნი შეძლებულნი არიან და არა კადრულობენ მუშაობას, მაგრამ, წელს ერთმა ჩემმა სოფლელმა თითქოს სოც.-დემოკრატების ჯიბრით, იმუშავა ჩემთან.

ჩემი სიმართლის გამოსარკვევათ, ვთხოულობ, რომ შესდგეს საგამომძიებლო კომისია: სოც.-დემოკრ., სოც.-ფედერალისტების და საქარ. ეროვნულ დემოკრ. წარმომადგენლების მონაწილეობით, იმ სიმართლის გამოსარკვევათ—თუ რამდენად სასარგებლო ვიყავი და ვარ თიანეთის მაზრისათვის.

მ. ძებნიაური.

—

პატივცემულო რედაქტორო!

ქ. ახალ-სენაკში, 4 ივნისს 1917 წ., ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სენაკის განყოფილების გამგეობამ თავისი ნივთიერი საშუალებათა გასაძლიერებლად ადგილობრივ ბაღში გამართა დიდი სახალხო სეირნობა ლატარია-ალეგრით და სხვა და სხვა გასართობებით. სეირნობის შემოსავალი სულ ერთად იყო 2551 მ. 63 კ., სეირნობის მოწყობაში დაიხარჯა 658 მ. 20 კ., წმინდა შემოსავალი გამგეობას დარჩა 1893 მ. 43 კაპ.

გამგეობა სთვლის სასიამოვნო მოვალეობათ გამოუცხადოს ულრმესი მადლობა ყველა იმათ, ვინც კი ნივთიერი დახმარებით თუ პირადი შრომით ხელს უწყობდა მას და მხურვალე მონაწილეობას ღებულობდა ამ სეირნობის გამართვაში. იმედია ყველა დამხმარე, დამსწრე და თანამგრძნობნი, შემდეგშიაც არ დაინანებენ ასეთი სიმპატიური მიზნისთვის თავიანთ წვლილს, შრომას და ენერგიას.

გამგეობის თავმჯდომარე
ოლღა ხოფერია.
მდივანი მღ. გ. გამზარდია.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

### მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია ადგილობრივი)

**ქუთაისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.08 დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.48 საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 8.54 დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 საღ. |
| [illegible] | სამგზ. | № 4-3, | 11.12 საღ. |

**ქუთაისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 საღ. |
| ბაქ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.48 დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.24 საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 საღ. |
| [illegible] | საფ. | № 3***, | 8.10 დილ. |

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წლ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წლ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

## კომიტეტი ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სახაზლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის" რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

კომიტეტი ქ. ს. კ.

[illegible]

ძმ. [illegible]

[illegible] ქუჩა, [illegible] სახ., № 9, ტელეფონი № 712.

[illegible] (წ.)

სტამბა „[illegible]" [illegible] № 4

გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო"